ალია

»N130/3060/ 5-8 სექტემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

## ოჯახის წევრის იძულებით დაქორწინება დასჯადი ხდება

## რატომ დაიხურა „თბილისის განვითარების ფონდის“ შეხვედრა?

რას უყვება „ალიას“ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი...



## რას საუბრობენ უმრავლესობის დეპუტატები კულუარებში „ქართული ოცნების“ ლიდერებზე



## პეტრე მამრაძე: „ახლა მთელი ბრძოლა იმაზეა, რომ სააკაშვილის იახტაზე მყოფი ქალების სახელები პრესაში არ გაჟღერდეს“

## „თუკი მარგველაშვილი და ალასანია ოპოზიციაში გადავლენ, სავარაუდოდ, ისინი ალიანსს ლევან ვასაძესთან შექმნიან“



## 8 სექტემბრიდან კანცელარიასთან აქციები იწყება



## მანანა კობახიძე შეწყალების კომისიისკენ იშვერს ხელს – ურთიერთბრალდებები ამნისტიაზე



ლევან თალაკვაძის მკვლელობაში ბრალდებულმა გიორგი ოქროპირიძემ ციხე 2014 წელს, სააღდგომოდ, ვადაზე ადრე დატოვა, ცნობილია, რომ წერილით ვადაზე ადრე განთავისუფლების მოთხოვნით მანანა კობახიძემ მიმართა:

„მე ეს განცხადებები გადავაგზავნე ე.წ. უდოს კომისიაში, შეწყალების კომისიაში, სწორედ იმ თხოვნით, რომ კანონის შესაბამისად, როგორც კანონით არის გათვალისწინებული, შეესწავლათ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, შეესწავლათ საქმე და მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომა, ის, რომ მკვლელობისთვის იყო გასამართლებული, მე ეს ინფორმაცია მქონდა, მაგრამ მე ის ინფორმაციაც მქონდა, რომ წამების მსხვერპლი იყო“, – განაცხადა კობახიძემ.

ალეკო ელისაშვილი, რომელიც იმ პერიოდში შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო, აცხადებს, რომ მასალების შესწავლის შემდეგ, მას განთავისუფლებაზე უარი უთხრა, „ერთხელ შეწყალების კომისიამ მას სასჯელი გაუნახევრა, მაგრამ არ გაათავისუფლა, ამის შემდეგ მეორედ იყო მომართვა და შეწყალების კომისიამ ასევე უარი უთხრა განთავისუფლებაზე“, – აცხადებს ელისაშვილი.

თუმცა იუსტიციის სამინისტრო ამტკიცებს, რომ, მათი ინფორმაციით, პატიმარი სწორედ შეწყალების კომისიამ გამოუშვა. გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებულის საქმე სტრასბურგსაც ჰქონდა გადაცემული, სადაც ის არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე საქართველოს უჩიოდა. ინფორმაციის თანახმად, მის საქმეს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უძღვებოდა. (ნიუპოსტი)

## უკრაინამ შესაძლოა, ნატოსგან ლეტალური იარაღი მიიღოს



ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ფილიპ ბრიდლავი აცხადებს, რომ წევრი ქვეყნები განიხილავენ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის საკითხს, მათ შორის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხსაც.

„ნატოს ბევრი ქვეყანა განიხილავს უკრაინისთვის ორმხრივი სამხედრო დახმარების აღმოჩენის საკითხს, როგორც ლეტალური, ასევე არალეტალური იარაღის მიწოდების საკითხს“, – აცხადებს ბრიდლავი, თუმცა იარაღის სახეობებს არ აკონკრეტებს. (ნიუპოსტი)

## შსს-ს 7 თვის დანაშაულის სტატისტიკა




შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 7 თვის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. მონაცემები ასახავს კრიმინოგენურ მდგომარეობას ქვეყნის მასშტაბით. სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 4126 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაორმაგებულია და 53,3%-ს შეადგენს.

2013 წლის 7 თვის მონაცემები 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

ქვეყნის მასშტაბით

2012 წელს: მომხდარი დანაშაული: 20716; აქედან გახსნილი: 4781. გახსნის მაჩვენებელი: 23,1%

2013 წელს: მომხდარი დანაშაული: 16590; აქედან გახსნილი: 8840. გახსნის მაჩვენებელი: 53,3%

დანაშაულის კლება: 4126. გახსნის მაჩვენებლის მატება: 30,2% (რეპორტიორი)



## „ოქრიკამ“ საქართველო დატოვა?

ჯერჯერობით უცნობი რჩება ჩვენების შინაარსი, რომელიც ვლადიმერ ბერძენიშვილმა ლაშა მახარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიებას მისცა. სწორედ ლადო ბერძენიშვილის კუთვნილი ავტომანქანიდან განახორციელა მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გიორგი ოქროპირიძემ გასროლა. სამართალდამცველებმა ბერძენიშვილი ფასანაურში დააკავეს. რაც შეეხება ოქროპირიძეს, მისი დაკავების ღონისძიებები ამ დრომდე გრძელდება, თუმცა გარდაცვლილი ლაშა მახარაძის მეგობრები და ახლობლები ეჭვობენ, რომ ოქროპირიძემ შესაძლოა, საქართველოს ტერიტორია დატოვა. შეესაბამება თუ არა სიმართლეს ინფორმაცია დაკავების შესახებ? შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ გამოძიების დასრულებამდე დამატებით კომენტარს არ გააკეთებენ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გურჯაანის ბაზარში სიცოცხლისთვის საშიში ხორცი გაიყიდა



გურჯაანის ბაზარში ტრიქინელოზით დაავადებული ღორის ხორცი გაიყიდა. მყიდველს ეს ფაქტი ყასაბმა შეატყობინა. ბაზრის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ხორცის რეალიზება მანამდე მოხდა, სანამ პროდუქტის ვარგისიანობა შემოწმდებოდა. სურსათის ეროვნული სააგენტო მომხდარის შესახებ უკვე ინფორმირებულია. ხორცს კერძო მეწარმე ყიდდა, ამიტომ, კანონმდებლობით, მისი დაჯარიმების უფლება არ აქვთ. ვეტექიმის მონაცემებით, 2 წელია გურჯაანის აგრარულ ბაზარში ტრიქინელოზის შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა. ტრიქინელოზი საქონელში ბაქტერიის სახით ვრცელდება. იმ შემთხვევაში, თუ ბაქტერია ადამიანის ორგანიზმში მოხვდა, სიცოცხლე სიკვდილით სრულდება. (პირველი რადიო)

## ძლიერმა სეტყვამ კახეთის სოფლები დააზარალა



4 სექტემბერს საღამოს ძლიერმა სეტყვამ თელავის რაიონის სოფელი სანიორე დააზარალა. ადგილობრივების ცნობით, სეტყვა დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. დასეტყვილია ყურძნის მოსავალი.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ალექსანდრე შათირიშვილის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, 100 ტონა ყურძენი დაზიანდა. მისი თქმით, გლეხებს დასეტყვილი ყურძნის ჩაბარებაში ადგილობრივი ხელისუფლება დაეხმარება. გამგებლის ცნობით, დასეტყვილ ყურძენს სახელმწიფო კომპანია „გრუზვინპრომი“ 85 თეთრად ჩაიბარებს.

სეტყვამ ყვარლის რაიონიც დააზარალა. შილდაში სეტყვა დაახლოებით 21:30 საათზე მცირე ინტერვალით ორჯერ განმეორდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სეტყვის შედეგად დაზიანებულია ვენახები. ზარალის შესახებ ინფორმაციას ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი არ ფლობს. ზარალის დათვლა დილიდან დაიწყება. (ინტერპრესნიუსი)

## ფოთში ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს



ფოთში, ქალაქის ცენტრში ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა. მას ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი ერთ-ერთ სამართალდამცავ სტრუქტურაში მუშაობდა. (ინტერპრესნიუსი)



## მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურს სოფო მოსიძე უხელმძღვანელებს

ჟურნალისტი სოფო მოსიძე მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსად ინიშნება. ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციაში დაადასტურეს.

სოფო მოსიძე ამ თანამდებობაზე ნონა ყანდიაშვილის ადგილს დაიკავებს, რომელიც რამდენიმე თვეა, ვაკანტურია.

მოსიძე ბოლო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობდა. (ინტერპრესნიუსი)

## გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზა ბლოკადაში აღმოჩნდა



სომხეთში გიუმრის 102-ე რუსული სამხედრო ბაზა ბლოკადაში აღმოჩნდა. სომხური გამოცემა „იშხანუთიუნი“-ს ინფორმაციით, თურქეთმა და საქართველომ რუსულ სამხედრო თვითმფრინავებს საკუთარი საჰაერო სივრცის გადაკვეთა აუკრძალეს, რის გამოც მოსკოვი ბაზაზე საჭირო სამხედრო აღჭურვილობის გაგზავნას ვერ ახერხებს. (ფრონტნიუსი)

4 სექტემბერი საქართველოს უახლეს ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღად შევა, უელსის სამიტი გახსნილია, ნატოს გენერალური მდივანი რასმუსენი საქართველოს ნატოში გაწევრიანების ახალ პაკეტზე საუბრობს: „საქართველო ჩინებულ დემოკრატიულ და თავდაცვის რეფორმებს ატარებს, ნატო საქართველოს მოუწოდებს, გააგრძელოს რეფორმები კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით. ნატო აამოქმედებს ახალ ინიციატივას – თანამშრომლობის ახალ პაკეტს, რათა დავეხმაროთ საქართველოს თავდაცვის გაძლიერებაში და მოვამზადოთ წევრობისთვის. ძალიან კარგი შეხვედრა გავმართე პრეზიდენტ მარგველაშვილთან, ამავე სამიტზე ნატო გააძლიერებს კავშირებს პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოსთან“.

**„რაც შეეხება პრემიერისა და მარგველაშვილის კინკლაობას, თუ როგორ აღიქმება ეს დასავლეთის თვალში, ის, რაც საქართველოში ბავშვურ კინკლაობად ითვლება, ამას დასავლეთი აღიქვამს ძალიან სერიოზულად. ვერც ერთ ევროპელ პოლიტიკოსს ვერ გააგებინებ, მათი კინკლაობის მიზეზს, შეუძლებელია ევროპელს აუხსნა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვერ გაუმართლა იმედები ივანიშვილს“**



სამიტის გახსნის დღე პრეზიდენტ მარგველაშვილის დაბადების დღეს დაემთხვა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ რასმუსენს სთხოვა, პრეზიდენტისთვის ბევრად მეტი ეჩუქებინა, მაგალითად, ნატოს წევრობა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, თუმცა სიმბოლურია, რომ სამიტი დაემთხვა პრეზიდენტის დაბადების დღეს. მართალია, მარგველაშვილი, სავარაუდოდ, გაეროს 69-ე სესიას ჩაეხსნება და ის ვერ იქნება აქტუალური პერსონა, გაეროს ტრიბუნაზე სიტყვით პრემიერ-მინისტრი გამოვა, თუმცა საინტერესოდ გამოიყურებოდა მარგველაშვილის უელსის სამიტზე ვიზიტი. როგორც ჩანს, მან ნატოს გენერალური მდივნის მოხიბვლა შეძლო და რასმუსენმა მას დაბადების დღე საჯაროდ მიულოცა. საინტერესოა, უელსის სამიტიდან დაბრუნებული პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობა როგორ გაგრძელდება. აქვე გეტყვით, რომ მარგველაშვილის ვიზიტის მომწონებლების დიდი ნაწილი სოციალურ ქსელში „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები არიან. მთელი დღის მანძილზე გულებსა და მოწონებას უგზავნიდნენ მას.

# „თუკი მარგველაშვილი და ალასანია ოპოზიციაში გადავლენ, სავარაუდოდ, ისინი ალიანსს ლევან ვასაძესთან შექმნიან“



**„ივანიშვილი სწორი იყო იმაში, რომ, თუ მე სადმე გნიშნავ, მე, ერთი კაცი, გნიშნავ, როგორც აბსოლუტური მონარქიის პირობებში ლუდოვიკო XIV-ის საფრანგეთში, მეფე ნიშნავდა სუყველას. მე დაგნიშნე შენ პრეზიდენტად, განა იმიტომ დაგნიშნე, რომ შენ იქნებოდი ბრწყინვალე პრეზიდენტი და შენი პრეზიდენტობით დე გოლსაც აჯობებდი, ფრანკლინ დევარო რუზველტსაც, არამედ მე იმიტომ დაგნიშნე, რომ ჩემი ერთგული იყო. აი, ეს იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების მოტივი“**

**„ალასანიაც ყველაფერში ასი პროცენტით აღარ ეთანხმება პრემიერს. ქართული პოლიტიკისთვის ეს არის ძალიან უცხო, როდესაც მინისტრი მთავრობის ხელმძღვანელს კონკრეტულ საკითხებში არ ეთანხმება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ 2016 წლამდე უმრავლესობა აუცილებლად დაიშლება და დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებენ“**



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ალიასთან“ საუბარში საინტერესო მინიშნებებს აკეთებს: „ნაციონალების“ აქტივისტების კეთილგანწყობა აშკარად იგრძნობა მარგველაშვილისადმი. რაც შეეხება პრემიერისა და მარგველაშვილის კინკლაობას, როგორ აღიქმება ეს დასავლეთის თვალში, სოსო ცინცაძე აცხადებს, – ის, რაც საქართველოში ბავშვურ კინკლაობად ითვლება, ამას დასავლეთი აღიქვამს ძალიან სერიოზულად. ვერც ერთ ევროპელ პოლიტიკოსს ვერ გააგებინებ მათი კინკლაობის მიზეზს, შეუძლებელია ევროპელს აუხსნა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ვერ გაუმართლა იმედები ივანიშვილს, ვინაიდან ივანიშვილის გავლენის ქვეშ არის მთელი მთავრობა, ამიტომ მარგველაშვილი ივანიშვილისთვის და ბიძინას ერთგული ხალხისთვის, პერსონა „ნონ გრატად“ იქცა. პოლიტიკა პერსონებისადმი ერთგულებას არ ცნობს.

და მაინც, საინტერესოა, პოლიტოლოგები ქართული რეალობიდან გამომდინარე, როგორ აფასებენ იმ ფაქტს, რომ მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის ერთგულების ველიდან გავიდა? ამ კითხვაზე სოსო ცინცაძე გვპასუხობს: მარგველაშვილი, რომელიც მაისის სიზმარშიც კი ვერ ნახავდა, რომ ნებისმიერ არჩევით თანამდებობაზე მოვიდოდა, პრეზიდენტი გახდა. ბიძინა ივანიშვილმა ის ჯერ განათლების მინისტრად დანიშნა, ჩვენ ვნახეთ, როგორი განათლების მინისტრიც იყო. უცებ ივანიშვილმა თქვა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო და კიდეც გახადა პრეზიდენტი. ივანიშვილი სწორი იყო იმაში, რომ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გატაცებულმა ქართველმა იზოლატორი ჯარიმის საფუძველზე დატოვა



სოფელ კირბალიდან გატაცებული მამუკა სამხარაძემ ცხინვალის იზოლატორი დატოვა. მარიონეტულმა რეჟიმმა ის ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

სამხარაძე ერთი კვირის წინ რუსმა შეიარაღებულმა პირებმა სოფლის ახლოს მდებარე ტყეში დააკავეს. ფაქტს მისი ოჯახის წევრები შეესწრნენ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა გაცივდა“




პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელის, პოლიტოლოგ მუბარიზ აჰმედოღლუს განცხადებით:

„დღეს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა არასასიამოვნო პერიოდში იმყოფება. ვშიშობ, რომ ეს ნეგატიური ტენდენცია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამ საკითხში არაფერი შეიცვლება საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძისა და ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის ბაქოში ვიზიტითაც, რომელიც უახლოეს ხანში განხორციელდება. ისინი მხოლოდ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ჩარჩოებში გამართულ არაფორმალურ შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას... საქართველოს მიერ გატარებული რეგიონული პოლიტიკა მეცნიერულად დაუსაბუთებელია და შესაბამისად, აზერბაიჯანთან მიმართებითაც არასწორია. საქართველომ თავისი ორი რეგიონი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დაკარგა, აზერბაიჯანსაც იგივე ბედი აქვს, დაკარგა მთიანი ყარაბახი. იმის ნაცვლად, რომ აზერბაიჯანის მტკიცე მოკავშირე იყოს, საქართველო აქტიურად უჭერს მხარს სომხეთს, სახელმწიფო-ოკუპანტს. გასაგებია, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, რომლისთვისაც ძნელია რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ რაში სჭირდება თბილისს სომხეთის მხარდაჭერა? ძალიან მაკვირვებს საქართველოს ხელისუფლების ენთუზიაზმი, რომელიც სომხეთისთვის უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე საკუთარი თავისთვის“.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ, ბოლო მონაცემებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ვაჭრობისა და საქონელგაცვლის დონემ მოიკლო. ასევე, არ მიმდინარეობს მუშაობა რომელიმე ახალ ერთობლივ პროექტზე.

„თუ ასეთი პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება, მაშინ ბაქო, სომხეთთან ურთიერთობის სავარაუდო მოგვარების შემდეგ, ერევანთან უფრო მჭიდრო კავშირებს განავითარებს, ვიდრე თბილისთან. საქართველო სრულიად დაუსაბუთებელ და დაუბალანსებელ პოლიტიკას ატარებს, რომელიც თვითონ მისთვის აღმოჩნდება უტოპიური“, – აღნიშნა ექსპერტმა. (რეპორტიორი)

*მესამე გვერდიდან*

თუ მე სადმე გნიშნავ, მე, ერთი კაცი, გნიშნავ, როგორც აბსოლუტური მონარქიის პირობებში ლუდოვიკო XIV-ის საფრანგეთში, მეფე ნიშნავდა სუყველას. მე დაგნიშნე შენ პრეზიდენტად, განა იმიტომ დაგნიშნე, რომ შენ იქნებოდი ბრწყინვალე პრეზიდენტი და შენი პრეზიდენტობით დე გოლსაც აჯობებდი, ფრანკლინ დევარო რუზველტსაც, არამედ მე იმიტომ დაგნიშნე, რომ ჩემი ერთგული იყო. აი, ეს იყო ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების მოტივი.

ევროპელებისგან განსხვავებით,



„ნატოს მხრიდან დაცულობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუკი პოტენციური მტრისგან – რუსეთისგან საფრთხე დაგვემუქრება, ამ შემთხვევაში დიდი არაფერი შეღავათია ნატოს მხრიდან დაცულობა. ერთადერთ შემთხვევაში ვიქნებოდით გარანტირებულად დაცულები, თუკი ჩვენ ნატო თავის სრულუფლებიან წევრად გვაქცევდა, ასეთ დროს ამოქმედდებოდა მე-5 პუნქტი ნატოს პრინციპით – ერთი ყველასთვის, ყველ ერთისთვის და საქართველო მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა გარანტირებულად დაცული“

საქართველოში ერთგულება გამოიხატება მხოლოდ მორჩილებაში და ეს იყო შეცდომა. ჩვენ რეალურად არ ვიცით, რა მოხდა მათ შორის, მათი უთანხმოება დაიწყო იმით, რომ პრეზიდენტი შევიდა კალიგულას სასახლეში, მაგრამ ამ აისბერგის წყალქვეშა ნაწილი უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება ქვედა დინებებში.

პრესით ხშირად ჟონავს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი ფარულ შეხვედრებს მართავს „ნაცმოძრაობის“ ლიდერებთან და მათი ინსტრუქტაჟით მოქმედებს. როგორია პოლიტოლოგის თვალით დანახული ეს ჯადოსნური სამკუთხედი – „ოცნება“, მარგველაშვილი და „ნაცმოძრაობა“? ამაზე სოსო ცინცაძე პასუხობს:

„ხშირად მესმის, რომ მარგველაშვილი „ნაციონალების“ კაცია, სულ მიკვირდა და კითხვას ვსვამდი, რომელიც დღემდე უპასუხოდ დარჩა, როგორ მოხდა, რომ წინა ხელისუფლების კრიტიკულ თვეებში მარგველაშვილი ყოველდღე, როგორც შტატიანი თანამშრომელი, იჯდა „მაესტროს“ ეთერში და ლაფში აგორავებდა სააკაშვილსა და „ნაციონალებს“. მარგველაშვილის თავზე ბუზი არავის აუფრენია, რეპრესიებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მეტიც, მიშას მიერ დაარსებული ინსტიტუტის „ჯიპას“ რექტორიც იყო. ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა, რატომ არავინ არ ახლო ხელი მარგველაშვილს მაშინ, როცა „ნაციონალების“ მხრიდან იყო ტოტალური რეპრესიები და მიშამ რატომ არ გადააყენა მარგველაშვილი „ჯიპას“ რექტორობიდან. როგორც ჩანს, იმდენად სიღრმისეულია პრობლემები, რომელიც კინკლაობით დაიწყო პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რომ ეს ბზარი დიდ უფსკრულად იქცევა. ალასანიაც ყველაფერში ასი პროცენტით აღარ ეთანხმება პრემიერს. ქართული პოლიტიკისთვის ეს არის ძალიან უცხო, როდესაც მინისტრი მთავრობის ხელმძღვანელს კონკრეტულ საკითხებში არ ეთანხმება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ 2016 წლამდე უმრავლესობა აუცილებლად დაიშლება და დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებენ ზემონახსენები პოლიტიკოსები. გულწრფელად რომ ვთქვათ, ალასანიას ადგილი დიდი ხანია ოპოზიციაშია. თქვენ ხედავთ, როგორ გააქტიურდა მისი გუნდი. პეტრიაშვილი, რომელიც ალასანიას გუნდის წევრია და ხელმძღვანელობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უწყებას, ისიც კი არ ეთანხმება პრემიერს 100%-ით, მაგრამ ბოლომდე არ ჰყოფნის გამბედაობა და საქმე-საქმეზე რომ მიდის, ამბობს, გუნდში წინააღმდეგობა არ არისო. ალასანიას მინისტრები და თვით პარლამენტარებიც კი, კონკრეტულად ვიქტორ დოლიძე, უკვე დისტანცირებას ახდენენ პრემიერ-მინისტრთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთსულოვნება გუნდში აღარ არის. ალასანია ჯერ კიდევ ვერ გრძნობს ისეთ ძალას მის გარშემო, რომ ბრძოლის ბარიკადებზე ავიდეს“.

იმისთვის, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის შემდეგ პარტია „ოცნება“ არ დარჩეს გალიმებულ მდგომარეობაში და არ დაკარგოს მართვის სადავეები, რა არის გამოსავალი, რომ დღეს დაწყებული კინკლაობა უფსკრულად არ იქცეს? აქვს თუ არა ბერკეტები ივანიშვილს, რომ მის მიერ მოყვანილი პრეზიდენტი მანვე გაანეიტრალოს? მართალია, ყველა გზა კონსტიტუციაზე გადის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობს თუ არა შავი ხვრელი, რომელიც პრეზიდენტს სიურპრიზის წინაშე დააყენებს. ამ საკითხს ექსპერტი სოსო ცინცაძე ასე პასუხობს:

„თავის დროზე ჭორი გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის კარის კულუარებიდან, თითქოს ივანიშვილს უნდოდა მარგველაშვილის გადაყენება, ამისთვის დაიბარა დავით უსუფაშვილი და მას უთხრა, მოეძებნა გზები და მარგველაშვილი სასწრაფოდ გადაეყენებინა, მაგრამ ამბობენ, რომ უსუფაშვილმა ბიძინა ივანიშვილს დაუჩოქა და უთხრა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. ნუ მომთხოვთ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, რადგან საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გვყავს და უნდა მოვიცადოთ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდეო, მაგრამ არსებობს მეორე გზაც, შეიძლება მარგველაშვილი აიძულო, თავად გადადგეს, რადგან უკვე გროვდება მარგველაშვილის მხარეს მინუსები და ეს ილექება, ნალექი კი არსად არ ქრება. თუმცა ერთ რამეს გეტყვით, თუკი მარგველაშვილი და ალასანია ოპოზიციაში გადავლენ, არა მგონია, თავიანთი პოლიტიკური მომავალი ღიად დაუკავშირონ „ნაცმოძრაობას“, რადგან მათ საკმარისი ჭკუა აქვთ. „ნაცმოძრაობას“ მინიმუმ 5 წელი პოლიტიკური მომავალი არ უწერია. სავარაუდოდ, ისინი ალიანსს ლევან ვასაძესთან შექმნიან“.



„პეტრიაშვილი, რომელიც ალასანიას გუნდის წევრია და ხელმძღვანელობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უწყებას, ისიც კი არ ეთანხმება პრემიერს 100%-ით, მაგრამ ბოლომდე არ ჰყოფნის გამბედაობა და საქმე საქმეზე რომ მიდის, ამბობს, გუნდში წინააღმდეგობა არ არისო. ალასანიას მინისტრები და თვით პარლამენტარებიც კი, უკვე დისტანცირებას ახდენენ პრემიერ-მინისტრთან“

და მაინც, სიმბოლურია, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის დაბადების დღეზე გაიხსნა უელსის სამიტი. გაუმართლებს თუ არა საქართველოს ისე, როგორც გაუმართლა მარგველაშვილს, როცა მას დაბადების დღე მსოფლიოს წამყვანმა პოლიტიკოსებმა მიულოცეს. მოგვილოცავს თუ არა ცივილიზებული სამყარო ოდესმე ნატოს წევრობას?

სოსო ცინცაძე აცხადებს: მარგველაშვილმა სულ რომ ციდან ვარსკვლავები დაწყვიტოს, უელსის სამიტზე მისი გამოსვლა არაფერს შეცვლის, ეს ყველაფერი იყო წინასწარ დაწერილი სცენარი ნატოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილი არის ინტელექტუალი, მისი კრეატიული წინადადებები ნამდვილად არ იმოქმედებდა საზოგადოებაზე, რომელიც დღეს არის შეკრებილი უელსში. ნატოს მხრიდან დაცულობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუკი პოტენციური მტრისგან – რუსეთისგან საფრთხე დაგვემუქრება, ამ შემთხვევაში დიდი არაფერი შეღავათია ნატოს მხრიდან დაცულობა. ერთადერთ შემთხვევაში ვიქნებოდით გარანტირებულად დაცულები, თუკი ჩვენ ნატო თავის სრულუფლებიან წევრად გვაქცევდა, ასეთ დროს ამოქმედდებოდა მე-5 პუნქტი ნატოს პრინციპით – ერთი ყველასთვის, ყველ ერთისთვის და საქართველო მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა გარანტირებულად დაცული.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსი სამხედროები ოკუპირებულ ცხინვალში სწავლებას ატარებენ




რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის „სამხრეთის სამხედრო ოლქის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, რუსი სამხედროები ჩრდილოეთ და ოკუპირებულ ცხინვალში ტაქტიკურ სწავლებას ატარებენ. რუსეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო პოლიგონ „ძარწემზე“ დაწყებულ სამხედრო მანევრებში 500-ზე მეტი რუსი სამხედრო მოსამსახურე და ტექნიკის 200 ერთეულია ჩართული. (ფრონტნიუსი)

## ალექსი პეტრიაშვილი: გაიხარე, გამახარე, ჩემო მოკავშირე ნატო!



„რამდენი თვე, რამდენი დღე გვესმოდა ჯერ ნატოს სამიტი, მერე ნატოს უელსის სამიტი. ადგილს რა ჰქვია ზუსტად? კარდიფი, ნიუპორტი? დიახ, ნიუპორტი. არც მეტი, არც ნაკლები, ქუთაისთან დაძმობილებული ქალაქი. გემოვნებიანი ხალხია ქუთათურები. დასაძმობილებულადაც კარგი ხალხი შეურჩევიათ და, ალბათ, წინაც იხედებოდნენ თავის დროზე, დიდი ამბები მოხდება ერთხელ ნიუპორტშიო. კი ბატონო! დიდი დღეებია უელსში მსოფლიოსთვის, ნატო-სა და საქართველოსთვის. ნათქვამია, მეგობრობა გზად და ხიდადო, ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. უკრაინას ვუდგავართ ყველა გვერდში! ჩვენი, ქართველების, გული და გონება უკრაინელ ძმებთან არის!

ბევრი ცხელი თემა განიხილება! ცხელი და მძიმე! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი საკითხი ცხელი არაა! სამაგიეროდ გამორჩეულია! რომ არ გეგონოთ, რას ბაქიბუქობს ეს კაციო, ფაქტებს გეტყვით: ყველა ჩვენს სამხედროებს აქებს, ყველა შეხვედრაში მარტო ჩვენ ვმონაწილეობთ, თანამშრომლობის პაკეტიც ჩვენი მსგავსი არავის აქვს, გარდა ამისა, „ოქროს გუნდშიც“ ვართ და კიდევ ამ დღეებში რაღაც გაგიხარდებათო!

კი ბატონო! გაიხარე, გამახარე, ჩემო მოკავშირე ნატო!“ (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყოფილი მთავარი პროკურორის შემდეგ, დიპლომთან დაკავშირებულ სკანდალში ფოთის მერი ეხვევა



ფოთში მცხოვრები ჯულიეტა ლომაიას განცხადებით, ფოთის მერ ირაკლი კაკულიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომი ყალბია. ქალბატონი აცხადებს, რომ მზადაა სამართალდამცველებს მისცეს ჩვენება და დაამტკიცოს, რომ ამჟამინდელ მერს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში ერთი დღეც კი არ უსწავლია.

„ფრონტნიუსს“ ფოთის მერმა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი მიაწოდა. დოკუმენტის მიხედვით, ირაკლი კაკულიამ (დაბადებულმა 1968 წლის 12 დეკემბერს) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი 2007 წელს დაამთავრა და მას სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის მერიის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ კაკულიამ აღნიშნული უნივერსიტეტი დაამთავრა არა 2007, არამედ 2005 წელს. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# პეტრე მამრაძე: „ახლა მთელი ბრძოლა იმაზეა, რომ სააკაშვილის იახტაზე მყოფი ქალების სახელები პრესაში არ გაჟღერდეს“

## რას უყვება „ალიას“ მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი?

**მიხეილ სააკაშვილის სკანდალური გასეირნება იახტით საბერძნეთის კუნძულ სამოსზე დიდხანს იქნება მედიის განხილვის თემა. ექსპრეზიდენტი 4 საათის განმავლობაში პოლიციელების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ბევრი დაფარული დეტალია, რომელსაც მხარეები ჯერ კიდევ ასაიდუმლოებენ.**

**მთავრობის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, „მართვის სტრატეგიული ცენტრის“ უფროსი პეტრე მამრაძე „ალიასთან“ სკანდალურ დეტალს ყვება:**

– საბერძნეთის პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილზე მიმდინარეობდა ძებნა, ის იყო ქვეყნის შიგნით და შესაძლო იყო იძებნებოდა ქვეყნის გარეთაც, გაირკვა, რომ ინტერპოლზე მისი გადაცემის პროცედურა დასრულებული არ იყო, რის შედეგადაც გაათავისუფლეს. ეს იყო ოფიციალური ინფორმაცია ელჩის მხრიდან, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იახტა, სახელწოდებით „ალიონი“, ღირს სულ ცოტა 15 მილიონი დოლარი. ჩვენ გვახსოვს, როცა ჭორის დონეზე ვრცელდებოდა ხმები, რომ სააკაშვილმა ძვირადღირებული იახტა აიშენა, ამ იახტაზე ის გრანდიოზულ დაბადების დღეებს უხდიდა თავის საყვარელ ქალბატონებსა და მეგობრებს. ეს ინფორმაცია ვრცელდებოდა როგორც თქვენს ჰოლდინგში შემავალი გაზეთის „კვირის ქრონიკის“ მეშვეობით, ამაზე ასევე აქტიურად საუბრობდნენ კულუარებში. რა თქმა უნდა, იახტა სხვის სახელზე იქნება გაფორმებული, მაგრამ იახტის ცურვის ყოველი დღე, პორტში მისი შესვლა და გაჩერება, ძალიან ძვირი ჯდება. ისმის კითხვა, საიდან ეს ყველაფერი სააკაშვილს? საიდან აქვს სააკაშვილს ამდენი ფული, რომ იახტა შეინახოს?

ყველაზე საინტერესო და ახალი დეტალი არის ის, რომ ვრცელდება ინფორმაცია, რომ იახტაზე იყვნენ ცნობილი ქალბატონები, ერთმა ცნობილმა პიროვნებამ მითხრა, ახლა მთელი ბრძოლა იმაზეა, რომ მათი სახელები პრესაში არ გაჟღერდეს. როგორც მისი საუბრიდან მივხვდი, ეს ქალბატონები იყვნენ ქართველები. ჩემი მხრიდან არ გამოდიოდა პირდაპირ მეკითხა, კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა სააკაშვილთან ერთად იახტაზე. თუმცა ერთი რამ კი ვკითხე, რა ტიპის ქალბატონები იმყოფებოდნენ იახტაზე, მან მიპასუხა მიშას ფავორიტებს რომ ეძახიან, ისეთი ქალბატონები იმყოფებოდნენო. ეს იყო მისი პასუხი. მე იმან უფრო დამაინტერესა, რას ნიშნავს „ბრძოლა“, რომ ამ ქალბატონების სახელები არ გაჟღერდეს. ეს ხომ არის საჯარო ინფორმაცია და არა საიდუმლო სერობა სააკაშვილის იახტაზე.

**— სააკაშვილი აცხადებს, საბერძნეთის სკანდალი მორიგი ჭორია და ალბანეთში ოჯახთან ერთად სტუმრად ვიმყოფებიო. თქვენი უცხოელი მეგობრები რას ამბობენ ამაზე? როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაემსგავსება ეს ამბავი ბაქოს სკანდალს, სადაც ყველაფერი მალევე ჩაიფარცხა?**

– სააკაშვილი საბერძნეთის ამბის შემდეგ ალბანეთში გადავიდა. მიაქციეთ ყურადღება, რა ქვეყნებში დადის. ალბანეთსაც წარმატებას ვუსურვებ და უნგრეთსაც, სააკაშვილს საჯაროდ თავი მოაქვს, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი მისი მეგობარია. ამ დროს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ერთი თვის წინ გამოვიდა სიტყვით და გამოაცხადა, რომ ევროპაში ლიბერალურმა დემოკრატიამ დრო მოჭამა. თქვა, გაუმარჯოს არალიბერალურ დემოკრატიასო და სანიმუშოდ დაასახელა პუტინი და პუტინის რეჟიმი. მისმა გამოსვლამ შეძრა მთელი ევროპა. როცა ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ლიდერი პრემიერ-მინისტრი ასეთ რამეს აცხადებს, ეს იყო ევროპისთვის შოკი და სააკაშვილს თავი მოაქვს, რომ მისი მეგობარია. აქ ისმის კითხვა, თუ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ასეთი დადებითი აზრის არის პუტინზე, თუ ორბანი არავის მოუწოდებს, რომ დაეხმაროს უკრაინას და არ გმობს პუტინის აგრესიას, რატომ მეგობრობს სააკაშვილი მასთან?! აი, რა ბინძურ თამაშებს აქვს ადგილი. ისევ დავდივართ იმ აზრამდე, რაც მიტჩელმა დაწერა: სააკაშვილი თამაშობს რუსულ ბინძურ თამაშს, საქართველოში თავისი ხელით რუსეთის საქმეს აკეთებს. ასე რომ, ალბანეთში პრემიერ-მინისტრის მიწვევით სააკაშვილის გამგზავრება ჩემში იწვევს ასეთ ასოციაციას. საბერძნეთის სკანდალი იყო სამარცხვინო, არ შეიძლება ოფიციალურ პირებს გაეკეთებინათ ის განცხადება, რაც გააკეთეს. ერთია ის, რომ აზერბაიჯანული მხარე ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში, სადაც მოხდა „ნაციონალი“ დეპუტატების დაკავების ფაქტები და გამოუშვეს. ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული განცხადებები ნიშნავდა, რომ აზერბაიჯანის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა კანონი დაარღვიეს. ასეთი განცხადებების გაკეთება ოფიციალური პირების საქმე არ არის. იგივე შეიძლება ითქვას საბერძნეთის სკანდალზე, არ უნდა ამბობდნენ იმაზე მეტს, რასაც ამბობს საბერძნეთის ხელისუფლება. ბაქოს სკანდალის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს აზერბაიჯანის ელჩი და აიძულებდნენ, გინდა თუ არა, ყველაფერი თქვი, რაც თქვენთან მოხდაო. ეს სასაცილოა, რამის თქმა რომ სდომოდა აზერბაიჯანის მხარეს, ისედაც გვეტყოდა.

**— უელსის სამიტი გადაფარა საქართველოში ბოლო პერიოდში მომხდარმა მკვლელობებმა, მოხდა რამდენიმე დაყაჩაღება. კრიმინალის ზრდა უკავშირდება თუ არა უხილავ ხელს? შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო ვადაში სასტიკი დანაშაულისთვის გასამართლებულები შეიწყალა.**

– თავის დროზე, თქვენ პასუხში დამასწარით, გამოვედი და ვთქვი, რომ სააკაშვილმა მოიქნია კუდი იმით, მოასწრო და მასობრივად 700 ადამიანი, მძიმე დამნაშავეები და მათ შორის განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეები შეიწყალა. ეს ადამიანები ციხიდან გამოვიდნენ და სააკაშვილმა მაშინვე წინსწრებით დაიწყო ყვირილი, ახალმა ხელისუფლებამ ამნისტია რომ გამოაცხადა, კრიმინალური ვითარება იზრდებაო. ასეთი მზაკვრული ნაბიჯი გადადგა სააკაშვილმა. ხელისუფლებამაც დაუმატა, ისეთი ადამიანები გამოდიოდნენ ციხიდან, რომლებიც ნარკობიზნესში იყვნენ მხილებულნი და ასევე სხვა მძიმე დანაშაულში. არასოდეს დამავიწყდება, ჩემი მეგობარია მწერალი მერაბ რატიშვილი, რომელსაც ვერაფერი დაუმტკიცეს და მაინც ციხეში ჰყავდათ, ის იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებული ნამდვილი პოლიტიკური პატიმარი და მერაბმა საჯაროდ ციხეში გამოაცხადა უარი, გამოსულიყო, როგორც პოლიტპატიმარი, სხვებთან ერთად. მან ტელეფონით დამირეკა და მელაპარაკა, ამ ადამიანებთან ერთად, ვისაც ახალი ხელისუფლება პოლიტპატიმრებს უწოდებს და ყველამ იცის, რეალურად ეს დამნაშავეები რას წარმოადგენენ, ამათთან ერთად ციხიდან გამოსვლა არ მინდაო. ღირსების ამბავია. ამხელა ამნისტია არ უნდა გამოცხადებულიყო, რადგან სახელმწიფო მათ დასაქმებას ვერ უზრუნველყოფდა, შესაბამისად, ცხადი იყო, რომ კრიმინალები კვლავ თავის საქმიანობას დაუბრუნდებოდნენ.





ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## „ვთხოვეთ რასმუსენს, პრეზიდენტისთვის ეჩუქებინა ბევრად მეტი“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე უელსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს ეხმაურება. მისი განცხადებით, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ სამიტი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის დაბადების დღეს დაემთხვა:

„ჩვენ ვთხოვეთ რასმუსენს, პრეზიდენტისთვის ეჩუქებინა ბევრად მეტი, ვიდრე არის გათვალისწინებული. ეჩუქებინა, მაგალითად, წევრობა. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან სიმბოლურია, რომ სამიტი დაემთხვა პრეზიდენტის დაბადების დღეს. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება წარმატებული მისთვის და მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის“. – აცხადებს ფანჯიკიძე. (ნიუპოსტი)

## უკრაინამ შესაძლოა, პარასკევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთოს



„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ უელსში განაცხადა, რომ პარასკევს, 5 სექტემბერს, უკრაინამ შესაძლოა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთოს. პოროშენკოს სიტყვებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მინსკში, პარასკევს დანიშნულ შეხვედრაზე, უკრაინის კრიზისის დარეგულირების საკონტაქტო ჯგუფი შესაბამის შეთანხმებას მიაღწევს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქონლის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე, მოქალაქე ვახტანგ რევია დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგენილია, რომ ვახტანგ რევია სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას სისტემატურად ახდენდა მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების აქციზური მარკის გარეშე დამზადება-რეალიზაციას, რითაც ის თავს არიდებდა კანონით დადგენილი აქციზის გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 200-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე. (ინტერპრესნიუსი)

# ოჯახის წევრის იძულებით დაქორწინება დასჯადი ხდება



რამდენიმე დღეში ქორწინების იძულება სისხლის სამართლის დანაშაული გახდება. ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა, რომელსაც ქორწინების იძულების მუხლი მიემატა. ცვლილებები უკვე მესამე მოსმენით მიიღეს. ახალი მუხლის მიხედვით, ქორწინების, მათ შორის არარეგისტრირებული ქორწინების იძულება, დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით – ვადით 200-დან 400 საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4 წლამდე. იგივე ქმედება კი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით, არასრულწლოვნის მიმართ, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2-დან 4 წლამდე.

რას გულისხმობს არარეგისტრირებული ქორწინება და სხვა რა სიახლეებს მოიცავს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი?

**„ალიას“ ესაუბრება საკანონმდებლო ცვლილებათა ინიციატორი, უმრავლესობის დეპუტატი, გუგული მაღრაძე:**

**— რატომ გახდა კანონში ამ ცვლილებების შეტანა აუცილებელი?**

– ჩვენ ვუერთდებით სტამბულის კონვენციას, რომელიც გულისხმობს ქალთა წინააღმდეგ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას. სწორედ ამ კონვენციაშია გამახვილებული ყურადღება, რომ იძულებითი ქორწინება ადამიანის უფლებების ძალიან დიდი შელახვაა. ჩვენთან დღეს ვხვდებით იძულებით ქორწინების ფაქტებს. მოსახლეობა უნდა მიეჩვიოს, რომ სხვა ადამიანზე ნებისმიერი სახის იძულება დასჯადია. სწორედ ამან განაპირობა, კანონში ცვლილება შეგვეტანა.

**— განსაკუთრებით სად ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები?**

– ამ მხრივ, ყველაზე რთული სიტუაცია რეგიონებშია, განსაკუთრებით ქვემო ქართლის რეგიონში.

**— იმას გულისხმობთ, მშობლები ქალიშვილებს პირუტყვის სანაცვლოდ რომ ათხოვებენ?**

– დიახ, როცა შვილს, ან ახლობელ ადამიანს აიძულებენ, გაჰყვეს რომელიღაც კონკრეტულ პირს ცოლად. ეს იძულება არის სიტყვიერი, არის მუქარა. სკოლაში არ წახვალ, არ გაჭმევ, სახლიდან გაგაგდებ... ამ და სხვა გზებით აშინებენ. მას ბოლოს სხვა გზა არ აქვს და „ნებით“ თხოვდება. ეს სისხლის სამართლებრივი მოკვლევის საგანი ხდება და დგინდება, იყო თუ არა იძულება ქორწინებისთვის.

თუ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდება, ვინც არ უნდა იყოს დედა, მამა თუ ძმა, ყველა დაისჯება. იძულებით ქორწინება, წინაპირობა ხდება, რომ ოჯახებში ძალადობა მოხდეს. თავისთავად, არასრულწლოვნის ქორწინება დასჯადია ახლაც ამ ასაკის ადამიანები არარეგისტრირებულ ქორწინებაში არიან ხოლმე და 16 წლის რომ ხდებიან, მერე მიმართავენ სასამართლოს, რომ ქორწინება გააფორმონ.

ამ ნორმის ამოქმედება 1-ელ მარტამდე გადავწიეთ. ეს პერიოდი გვჭირდება, რომ ამ კანონის პროპაგანდა განვახორციელოთ. მასმედიისა და სხვადასხვა საშუალებებით. განსაკუთრებით ქვემო ქართლში, სადაც ადრეულ ასაკში ხდება ქორწინება, სკოლას არ ამთავრებენ და ამ დროს მათი იძულებითი ქორწინება ხდება და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერ ყალიბდება. ამიტომაც გახდა აუცილებელი, რომ დამნაშავე სისხლის სამართლებრივი ნორმით უნდა დაისაჯოს. „დამძალებლებს“ მოუწევთ პასუხისგება კანონის წინაშე. არის ხოლმე შემთხვევა, როცა 13-14 წლის გოგონას ათხოვებენ, ცხოვრობს მეუღლესთან, მაგრამ ქორწინება არარეგისტრირებულია. ანუ ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ეს ახლად მიღებული კანონი.

**— სხვა რა სიახლეს მოიცავს კანონპროექტი?**

– კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ, თუ დადგინდა მოძალადე, არ აქვს მნიშვნელობა, დედა იქნება, მამა, ქმარი, თუ სხვა რომელიმე ნათესავი, მას კანონი დაავალდებულებს, გაიაროს „ძალადობრივი ქცევის დამოკიდებულების შეცვლის სპეციალური სასწავლო კურსები, ტრენინგები“ და ა.შ.

**— მოძალადისთვის კურსებისა და ტრენინგების გავლა ცოტა ხომ არ არის?**

– ასეთი სიტუაციაა, როცა ოჯახში ძალადობა ხდება, არ უნდათ, რომ მოძალდე დააჭერინონ, ამიტომ პოლიციას იძახებენ, რომელიც შემაკავებელ ორდერს წერს და განარიდებს მოძალადესა და მსხვერპლს ერთმანეთისგან. შემდეგ ამ საკითხს სასამართლო განიხილავს და მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიკარება 6 თვის განმავლობაში. თუ ის ამ აკრძალვას დაარღვევს, შემდეგ იწყება უკვე სისხლის სამართლებრივი დევნა და მიდის ციხეში, მაგრამ მას, როცა ეს 6 თვე დაეკისრება, მაშინ ხდება ვალდებული, რომ გაიაროს ეს სპეციალური კურსები, რომელიც ადამიანის განწყობების შეცვლას ემსახურება. მოძალადედ არ იბადება ადამიანი, რაღაც გარემოებებს მიჰყავს ამ ნაბიჯამდე.

**— იქნება ეს კურსები ეფექტური?**

– ამ საკითხისადმი მამაკაცებს, როგორც „ქართულ ოცნებაში“, ასევე „ნაციონალურ მოძრაობაში“, სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ, – „მოძალადეს სემინარი უშველისო?“ – რიტორიკულ კითხვას სვამდნენ. მერწმუნეთ, უშველის. ჩვენ ოჯახურ კონფლიქტზე ვსაუბრობთ, სადაც სიყვარულიდან გადავიდნენ კონფლიქტზე, ზუსტად ასევე შეუძლიათ დაუბრუნდნენ ძველ ურთიერთობებს. უცხოეთში მუშაობს ეს პრაქტიკა და საკმაოდ წარმატებულია.

**— სად გაივლიან ამ კურსს?**

– სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ბაზაზე.

**— როდის ამოქმედდება აღნიშნული ცვლილებები?**

– კანონის გარკვეული მუხლები მესამე მოსმენიდან მე-15 დღეს შევა, სხვა დანარჩენი კი, მაგალითად, სპეციალური კურსები და ა.შ დაახლოებით 6 თვის ვადაში.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პუტინის ქალიშვილი: უკრაინელი ხალხის გვერდით თავისუფლებისთვის საბრძოლველად მივდივარ!




ჰოლანდიაში მცხოვრები რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ქალიშვილი, ბატალიონ „დონბასის“ რიგებში მოხალისედ ჩაეწერა. განცხადება მარია პუტინამ ჰოლანდიურ გამოცემა **Holland Tribune**-თან გააკეთა.

„უკანასკნელი 10 წელია ჰოლანდიაში ვცხოვრობ და ყოველდღე გეების გვერდით მიწევს ქალაქის ქუჩებში სიარული. ყოველთვის ვცდილობ, დემოკრატია და სიბინძურე ერთმანეთს დავაშორო, მაგრამ, სამწუხაროდ, მამის პოლიტიკამ თავგზა ამიბნია. ჩემზე განსაკუთრებით მალაიზური ავიახაზების კუთვნილი „ბოინგ777“-ის ჩამოგდებამ იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ ომი მამაკაცების საქმეა, მე მაინც მიმაჩნია, რომ მამაკაცები ჩვენს გარეშე ომს ვერ მოიგებენ. მე უკრაინელი ხალხის გვერდით თავისუფლებისთვის საბრძოლველად მივდივარ“, – განაცხადა მარია პუტინამ. (რეპორტიორი)

## შს სამინისტრო ნათია ფანჯიკიძის ბრალდებას პასუხობს




შს სამინისტრო ირაკლი ალასანიას ცოლის, ნათია ფანჯიკიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს. ნათია ფანჯიკიძის ცნობით, ვაკეში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული ალექსანდრე ჭიკაიძის ნათესავია. როგორც შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი სოციალურ ქსელში წერს:

„ეს არის ცრუ და ჭორზე დაფუძნებული დეზინფორმაცია. რაც შეეხება გარდაცვლილის მეგობრების დაკითხვას, ისინი იმყოფებოდნენ დაკითხვაზე ადვოკატების თანხლებით, მკვლელობის ფაქტი გახსნილია და პირიც დადგენილია, გამოძიების დასრულებამდე მეტ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით“. – წერს გიორგობიანი. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატო რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს



უელსის სამიტზე შეკრებილი დასავლეთის ქვეყნების ლიდერების განცხადებით, თუ რუსეთი არ შეწყვეტს თავის ქმედებებს უკრაინის ტერიტორიაზე, ნატო რუსეთზე ზეწოლას გააძლიერებს. ალიანსის გენერალურმა მდივანმა რუსეთის ქმედებას პირდაპირ უწოდა „თავდასხმა უკრაინაზე“.

სამიტზე, 5 სექტემბერს, დამტკიცდება საკითხი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ, რომლის მიზანიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რუსეთის შესაძლო აგრესიისგან დაცვა იქნება. მათი რაოდენობა რამდენიმე ათასს მიაღწევს. რუსეთმა უკვე განაცხადა, რომ ამ ძალების შექმნით ნატო ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქრება. (რეპორტიორი)

## შსს-მ ვანის რაიონში მომხდარ ყაჩაღობაზე ორი პირი დააკავა



შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ვანის რაიონში მომხდარ ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით, ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის დააკავეს 1993 წელს დაბადებული ალექსანდრე რ. რომელიც დაზარალებულის ნათესავია. ასევე დაკავებულია 1987 წელს დაბადებული დავით ლ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 1-ელ სექტემბერს, ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში, სამი ნიღბიანი პირი ქეთევან ო-ს საცხოვრებელ სახლში შეიჭრა. მათ სხეულის დაზიანებები მიაყენეს ქეთევან ო-სა და მის მცირეწლოვან შვილს. დამნაშავეები ფულსა და ძვირადღირებულ ნივთებს ითხოვდნენ. მათ სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაზარალებულის სახლიდან ოქროს ნივთები და კლავიშებიანი სინთეზატორი წაიღეს.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დაადგინეს. ალექსანდრე რ. და დავით ლ. ცხელ კვალზე დააკავეს. დანარჩენი დამნაშავეების დასაკავებლად შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ალექსანდრე რ-მ მიმდინარე წლის იანვარში ქეთევან ო-ს საცხოვრებელი სახლიდან ციფრული ფოტოაპარატი მოიპარა. აღნიშნული ფაქტის შესახებ დაზარალებულმა სამართალდამცველებს მომხდარიდან რამდენიმე დღეში აცნობა. (რეპორტიორი)

# რატომ დაიხურა „თბილისის განვითარების ფონდის“ შეხვედრა?

## რას უყვება „ალიას“ თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი...



**„თბილისის განვითარების ფონდის“ თავმჯდომარე, თემურ ხომერიკი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა და ფონდში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე ესაუბრა. როგორც „ალიას“ მერიიდან აცნობეს, შეხვედრის ერთი ნაწილი დახურულ რეჟიმში წარიმართა.**

**„ალია“ თბილისის საკრებულოს წევრს, ალეკო ელისაშვილს ესაუბრა, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა:**

**— ალეკო, რა ინფორმაცია გაგაცნოთ თემურ ხომერიკმა?**

– ყველამ ვიცოდით, რომ „თბილისის განვითარების ფონდი“ კორუფციული ქაობი იყო, მაგრამ თემურ ხომერიკმა ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები გაგვაცნო. ძალიან დიდი უბედურება ტრიალებდა ამ ფონდში, უარესი აღვირახსნილობა წარმოუდგენელია. გიგი უგულავა, ზოგადად, „ნაციონალები“, აი, რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ.

**— „პლეხანოვის“ რეაბილიტაციის საქმე ცნობილი ამბავია, რამე ახალი ფაქტები დადო ხომერიკმა?**

– ამ ფონდში იყო სრული ქაოსი, ფონდში 70 კაცი იყო გაფორმებული და აქედან, 40 კაცი საერთოდ არ დადიოდა სამსახურში, თუმცა ხელფასებსაც იღებდნენ, პრემიებსაც, ბენზინსაც და მობილური ტელეფონის ფულსაც. ეკა ხერხეულიძე და თენგიზ გუნავა იყვნენ ამ ფონდში გაფორმებულნი, თანაც, ფონდის პრეზიდენტის მრჩევლებად და უზარმაზარი ხელფასები და პრემიები ჰქონდათ. ეს ორნი არიან ცნობილები, ვინც „მკვდარ სულებად“ ჰყავდათ გაფორმებული, თორემ იქ ბევრი ხალხი იყო ასე. ცხადია, ყველანი „ნაცაქტივისტები“ იყვნენ. გარდა „ნაციონალებისა“, ფონდში „გაფორმებული“ ჰყავდათ „ზონდერები“ და ეს ხალხი ყველა იმ სიკეთით სარგებლობდა, რაც ზემოთ ჩამოვთვალე. ხალხი, რომლებიც ათასგვარ დანაშაულში არიან მხილებულნი, რომლებიც აქციების დარბევებსა და სხვა დანაშაულებში მონაწილეობდნენ, იქ თბილად ჰყავდათ შეფარებული და არაფერს არ აკლებდნენ. ფონდის ერთი ყოფილი თანამშრომელი ციხეში ზის და იმას პრემია გამოუწერეს. მითხარი ერთი, ამის გამკეთებელი არ უნდა დაიჭირო და არ უნდა დასაჯო?

**— ეგეც უნდა დასაჯო და სხვებიც. რატომ არ არიან დასჯილნი თბილისის ვიცე-მერი დავით ალავიძე, შესყიდვების სამსახურის უფროსი, ალექსი თაბუაშვილი, თავად ფონდის დირექტორი, დავით ავალიანი და სხვები? კარგი, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საბანაძე გაქცეულია ჯანდაბაში, მაგრამ დანარჩენები ხომ აქ არიან?**

– ყველამ უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით პასუხი, ვინც ჩამოთვალე, მათაც და სხვებმაც. არავის არ უნდა შერჩეს ამ ფონდიდან ფულის მითვისება. თანაც, 400 მილიონ ლარზეა ლაპარაკი.

**— ეს 400 მილიონი ლარი მთლიანად მიითვისეს ფონდის თანამშრომლებმა?**

– კი, ეს უზარმაზარი თანხა აორთქლებულია, ზოგი პრემიებში, ხელფასებში, ბენზინისა, სატელეფონო და სხვა ხარჯებშია წასული, ზოგიც რაღაც საეჭვო ტენდერებითა და აუქციონებით აქვთ ათვისებული საეჭვო კომპანიებს. მერე, ამ კომპანიათა მესვეურნი, მერიის მაღალჩინოსნებს აძლევდნენ ასტრონომიულ თანხებს „ატკატის“ სახით, ამ 400 მილიონში ის 48 მილიონიც შედის, რის გამოც გიგი უგულავა ზის ციხეში. თუმცა, დანარჩენი 350 მილიონი ლარის გაქრობა როგორი საქმეა? რამდენი რამის გაკეთება შეიძლებოდა თბილისისთვის ამ თანხით? რიყის საქმეც ამ 400 მილიონთან არის მიბმული, აი, 7 მილიონ დოლარად რომ გაყიდა მერიამ რიყის ტერიტორია და მერე, 17 მილიონად უკან გამოისყიდა. მოკლედ, „გრიალებდნენ“ და ყირაზე იდგენ გოგო-ბიჭები. ყველამ, ვისაც ამ ფულის მითვისებასა თუ გაფლანგვაში აქვს მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს. ამ საქმის ბოლომდე მიყვანას თემურ ხომერიკიც აპირებს და მეც ბოლომდე მივყვები. როგორც შემეძლება, ისე გავაკონტროლებ და ყველა დამნაშავეს თავად მივაცილებ ციხეში.

**— ამ 400 მილიონის გაფლანგვა-მითვისების დამადასტურებელი ფაქტები თუ გადაეცა პროკურატურას?**

– კი, ამ მასალების ნაწილი საგამოძიებო ორგანოებს თავად გადასცა თემურ ხომერიკმა და დანარჩენი ფაქტების გადაცემასაც აპირებს. ეს კაცი ნამდვილად მოწადინებული ჩანს, რომ დამნაშავენი დაისაჯონ, ფონდს, შეძლებისდაგვარად, დაუბრუნდეს მითვისებული თანხები. ჰო, ეს არ დამავიწყდეს, ისე იყვნენ გათავხედებულნი, რომ ფონდის თანამშრომლები იპარავდნენ ხელშეკრულებებს, სხვა სახის დოკუმანტაციას, ფაილებს შლიდნენ კომპიუტერებში... მოკლედ, ცდილობდნენ, თავიანთი ნაავკაცარის დაფარვასა და კვალის წაშლას, მაგრამ ეს არ უშველით, ამ ხალხს, რაც ფონდში მუშაობისას დააშავეს, ეს ცალკე მოეკითხება, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციის მოსპობა-განადგურებისთვის კიდევ – ცალკე. ვითომ თავის გადარჩენის მაგიერ, უარეს მახეში გაებნენ.

**— ალეკო, თქვენ თბილისში საზოგადოებრივი ტუალეტების აშენების ინიციატივით გამოხვედით და ისიც განაცხადეთ, რომ თბილისის ბიუჯეტში საამისოდ 500 ათას ლარიანი რეზერვი იყო. ამ ბოლო დროს ეს საკითხი აღარ წამოგიწევიათ. რა ხდება, ხომ არ გადაიფიქრეს ამის გაკეთება?**

– ამ დღეებში მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ავთანდილ სალაძე იყო მოსული საკრებულოში და მას საზოგადოებრივი ტუალეტების შესახებ დავუსვით შეკითხვები. საკმაოდ კვალიფიციური ადამიანი ჩანს და მშვენივრად ესმის ამ პრობლემის მნიშვნელობა. შეგვპირდა, რომ შეისწავლიდა ამ საკითხს, იმ მომენტში გადაჭრილი პასუხი არ ჰქონდა. შემდეგ რომ დავიბარებთ, მერე უკვე კონკრეტული ინფორმაცია მექნება. იმედია, დაიძვრება ეს საქმე, სხვაგვარად არ გამოვა, შარდის სუნად ყარს მთელი თბილისი და სირცხვილია, რა...

**— საკრებულოს წევრებისთვის პერსონალურ მანქანებზე უარის თქმის თქვენეულ იდეასაც გაგახსენებთ. დიდი ხანია, ეს თემა აღარ წამოწეულა. რა მოხდა, ჩაილურის წყალი ხომ არ დალია ამ იდეამ? კომფორტის მოყვარულმა საკრებულოს წევრებმა დაგჯაბნეს?**

– მთელი ამ ხნის მანძილზე ვაგროვებდი დოკუმენტაციას, ვსწავლობდი, სხვა ქვეყნების თვითმმართველობებში როგორ ხდება საკრებულოს წევრთათვის მანქანებით მომსახურება, დეტალურად ვსწავლობ, ჩვენს საკრებულოს რამდენი უჯდებოდა მანქანების მომსახურება, ბენზინის ხარჯები, „პროფილაქტიკის“ ხარჯები, მძღოლთა ხელფასები და სხვა დანარჩენი. მოკლედ, საკმაოდ ტევადი ინფორმაციები მაქვს, ახლა ამის ანალიზს ვაკეთებ და და სექტემბრის ბოლომდე წარვადგენ სრულყოფილ პროექტს, როგორ უნდა მოხდეს პერსონალური მანქანების სამომსახურეოთი ჩანაცვლება. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება დამაჯერებელი, ყველა პარამეტრით გამართული პროექტი და ამ ინიციატივას აუცილებლად გავიტან. ეს არ არის ჩემი ახირება, ეს საზოგადოებისთვისაა აუცილებელი, ეს არის მენტალური ცვლილება.

**— კი ხართ იმედიანად, რომ ამ პროექტს გაიტანთ, მაგრამ იქ ბევრი კომფორტისა და უზრუნველი ცხოვრების მოსაწყობად ზის. შეძლებთ საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობის მოპოვებას, რომ ეგ პროექტი კანონად იქცეს?**

– ეს საკრებულოს წევრები ხალხმა აირჩია, აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ მათ ამომრჩეველს ურჩევნია, ამ ხალხმა პერსონალურ მანქანებზე უარი თქვან, ამით თბილისს ბიუჯეტი დაუზოგონ და ეს ფული ხალხისთვის მნიშვნელოვან პროექტებს მოხმარდეს. ავტოპარკისთვის უზარმაზარი ფულის ფლანგვა არ შეიძლება, მე ციფრებით დავადასტურებ, რომ სოლიდური თანხები იხარჯება სრულიად უაზროდ. მითხარით ერთი, რომელი თბილისელი გეტყვით, მიხარია, რომ ჩემი ფული წყალში იყრებაო? ჰოდა, არც გადაიყრება და როგორც ხალხს უნდა, ისე უნდა გაკეთდეს და არა ისე, როგორც საკრებულოს დეპუტატთა ნაწილს სურს. აი, მერე სათქმელი, არგუმენტი აღარავის ექნება, რომ პერსონალური მანქანების მავნე პრაქტიკის შენარჩუნებას მხარი დაუჭიროს, რადგან ამ საკითხზე სახელობით კენჭისყრას მოვითხოვ და გავიგებთ, ვინ დაუჭერს ახალ პროექტს მხარს და ვინ კომფორტის შენარჩუნებას შეეცდება.

**— „სითი პარკთან“ დაკავშირებით ხომ არ გაქვთ რაიმე ახალი ინფორმაცია?**

– „სითი პარკის“ შესახებ, დაპირებულ დროს გამოვაქვეყნებ სკანდალურ დოკუმენტებს და მის ხელმძღვანელობასა და მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს ვამხელ კორუფციულ გარიგებაში. ჯერ ახალი არაფერია. „სითი პარკს“ სეირი უნდა ვაჩვენოთ და უნდა გავაძევოთ თბილისიდან.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მცხეთასა და ბათუმში სურსათის ობიექტები დახურა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის გამო, მცხეთასა და ბათუმში განთავსებული სურსათის ობიექტებს საწარმოო პროცესი შეუჩერა.

ბათუმში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე შპს „რეზო და კომპანიას“, რომელიც მზა კერძების წარმოება-რეალიზაციით არის დაკავებული, საწარმოში 5 კრიტიკულ შეუსაბამობასთან ერთად 20 არაკრიტიკული დარღვევა აღმოაჩნდა. კერძოდ: საწარმოში არ არის ცხოველური წარმოშობის სურსათის სათანადო ტემპერატურულ რეჟიმში დამუშავებისა და შენახვის პირობები; შენობა არ არის აღჭურვილი ვენტილაციის სისტემით; ინსპექტირების დროს აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მწერი და ტარაკანი; მზა სურსათის ღია წარმოების პროცესში ადგილი აქვს კონდენსატების დაგროვებას. გარდა ამის, შენობა არ არის იმგვარად მოწყობილი, რომ დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები და წესები; ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის ოქმები და ა.შ.

მცხეთაში განთავსებულ სახინკლე ი.მ „ანგელინა პაპიაშვილმა“ ვერ წარმოადგინა ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2, რის გამოც აღნიშნულ ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

ჩამოთვლილი დარღვევების გამო ორივე ბიზნესოპერატორი 1000-1000 ლარით დაჯარიმდა. შეუსაბამობების გამოსწორების შემდეგ, სურსათის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ორივე მათგანს საწარმოო პროცესი აღუდგება. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჩამანაცვლეს კალაძის ცოლისძმით...“



თბილისის მერიის თანამშრომლების განცხადებით, მათ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერას აიძულებენ. საუბარია დაახლოებით 20-მდე თანამშრომელზე. მათი განცხადებით, მთავარი მიზეზი არა კვალიფიკაცია, არამედ ის გარემოებაა, რომ ახალი გუნდის წევრები არ არიან. აღნიშნული მოთხოვნა ხშირად უხეში ფორმითაც ხორციელდება, კერძოდ, ემუქრებიან, რომ ან განცხადებას დაწერენ, ან შენობიდან „ბორკილებდადებულს გაიყვანენ“.

სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, გიორგი ხაბეიშვილის განცხადებით:

„ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თბილისის მერის ბრძანებით ვარ გათავისუფლებული თანამდებობიდან. თურმე არაჯეროვნად ვასრულებდი ჩემს უფლებამოვალეობას და მთელ თბილისში ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თურმე შეიძლება რომ ჯეროვნად შეასრულოს უფლებამოვალეობა, არის კახი კალაძის ცოლისძმა, 23 წლის გიორგი არეშიძე, რომელსაც საჯარო სამსახურში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს. მისი **CV** იწყება სახელითა და გვარით და მთავრდება პირადი ნომრით“, – განაცხადა ხაბეიშვილმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლექსო თამაზაშვილი: ლექსო ჭიკაიძე წარმატებული მინისტრია




დეპუტატი ლექსო თამაზაშვილი მისი შს მინისტრად შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას სასაცილოს და ჭორს უწოდებს. ინფორმაცია დეპუტატმა „ფეისბუკის“ პირად გვერდზე დაწერა:

„ეს არის სასაცილო, ძაან უტვინო ადამიანის ან ადამიანების მიერ გავრცელებული ჭორი! ლექსო ჭიკაიძე წარმატებული მინისტრია და კიდევ დიდხანს გააგრძელებს მოღვაწეობას! ის მკვლელობები, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ქალაქში, ერის ტკივილია და იმ ფსიქოლოგიური წნეხის გამოძახილი, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში ბოლო ათწლეულები. ის, რომ ადამიანი არ მოკლა, ან არ აწამო, ამას პოლიცია ვერ ასწავლის ვერავის. იმის ძახილი, რომ შსს არ მუშაობს, არასწორია, შსს-მ 11-დან 10 შემთხვევა გახსნა. სითბო და სიყვარული აღარაა ხალხში და ამის შედეგია ეს ყველაფერი. და ეს ყოველი ჩვენგანის საქმეა და საზრუნავი, ჩავიხედოთ გულებში და მივხვდებით, რომ ეს ასეა! ვიზიარებ და მტკივა ყოველი მსგავსი შემთხვევა და მოგიწოდებთ ყველას, ერთად დავაბრუნოთ ჩვენს საზოგადოებაში სიყვარული და სითბო!“ – წერს თამაზაშვილი. (რეპორტიორი)

## დევნილთა სამინისტროში თაღლითობის ფაქტი გამოავლინეს




ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილის განცხადებით, სამინისტრომ თაღლითობის ფაქტი გამოავლინა:

„მოქალაქე, თავადაც დევნილი, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მეორე დევნილს ბინის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა. მეტი დამაჯერებლობისთვის ის ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში სამინისტროს მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩართულნი. როგორც კი ეს ფაქტი ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ პროცესში მყისიერად ჩავრთეთ შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურები. ეს პიროვნება უკვე დაკავებულია და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, იმედი გვაქვს, ის სათანადოდ დაისჯება.

მივმართავ დევნილებს, ნუ გახდებიან თაღლითების მსხვერპლნი და ნებისმიერი ასეთი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, სამინისტროს ცხელ ხაზზე დაგვიკავშირდნენ. ანონიმურობა დაცული იქნება“. – განაცხადა რეხვიაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ხელფასები გაეზრდებათ




საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ხელფასები გაეზრდებათ და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ანაზღაურებას გაუთანაბრდება.

დღეს მოქმედი ნორმების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია 5 650 ლარით. კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, გახდება 7 000 ლარი; თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის ხელფასია 4 800 ლარი, ხოლო ცვლილებების მიღების შემდეგ გახდება 6 300 ლარი. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს 4 400-ლარიანი შრომითი ანაზღაურება 6 000 ლარამდე გაეზრდებათ. (რეპორტიორი)

## ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცმა უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი სცემა




თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა ბათუმში უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი სცემა. დაზარალებულის განმარტებით, მამაკაცმა პასპორტი წაართვა და მასზე ძალადობდა. როგორც ამბობენ, ძალადობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი პოლიციელის შვილია. უფლებადამცველი თამარ გურჩიანი აცხადებს, რომ მიუხედავად აღნიშნული დანაშაულისა, განყოფილების უფროსმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მოძალადეს არ დააკავებდნენ.

„ქალი დააგდო ძირს და წიხლებით შედგა. უმოწყალოდ სცემდა. მსხვერპლმა განაცხადა, რომ მოძალადე არის ბათუმელი პოლიციელის შვილი. მსხვერპლი საუბრობდა სავარაუდო ტრეფიკინგზე, თუმცა, განყოფილებაში მითხრეს, რომ არ დააკავებდნენ მოძალადე მამაკაცს. ნახევრად ხუმრობით თქვეს, შერიგდებიანო. მოგვიანებით ვნახე, განყოფილების უფროსმა მოძალადე როგორ ჩაისვა მანქანაში და გაასეირნა...“ – აცხადებს გურჩიანი.

„საშინელ სიტყვებს ეძახდა. ბოლოს წამოხტა, ეცა ამ გოგოს, ჩაათრია წყალში, თმებში სწვდა და თავს წყალში აყოფინებდა. პატრული გამოვიძახეთ და შველას ვითხოვდით, რომ ხელში არ შემოკვდომოდა“. – აცხადებს თვითმხილველი თამთა ჩუმაშვილი.

შს სამინისტრო არ ადასტურებს, რომ ეჭვმიტანილი და მამამისი სამინისტროს თანამშრომლები არიან. (რეპორტიორი)


## Samsung Galaxy S5 საჩუქრად მაგთის Facebook კონკურსის გამარჯვებულს




ფოტოკონკურსი დაიწყო!

გადაიღეთ ჩვენი საქართველოს ულამაზესი ხედების ფოტოები, ატვირთეთ მაგთის **Facebook** გვერდზე კონკურსის „მე მიყვარს საქართველო“ აპლიკაციაში და მოიგეთ **Samsung Galaxy S5**. ფოტოები თემაზე შეიძლება იყოს საქართველოს ქალაქების, სოფლების, ამა თუ იმ კულტურული ძეგლების შესახებ, ბუნების პეიზაჟი ან პანორამა. ფოტოკონკურსის პირობებს დეტალურად გაეცანით მაგთის **Facebook**-გვერდზე **www.facebook.com/magtifun**

**გადაიღეთ საქართველოს სიყვარულით, ატვირთეთ და მოიგეთ!**

**გისურვებთ წარმატებას!**

# რას საუბრობენ უმრავლესობის დეპუტატები კულუარებში „ქართული ოცნების“ ლიდერებზე



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე ფიქრობს, რომ მის ოპოზიციონერ კოლეგებს „ბილობილი“ და დიდი ცოცხი სჭირდებათ:**

**„თუ გგონიათ, რომ საქართველოს მოსახლეობას სჭირს სკლეროზი, ძალიან ცდებით. თქვენ უფრო გჭირთ სკლეროზი. მაქვს წინადადება, ჩემი ხელფასის ხარჯზე ერთი პარტია „ბილობილი“ შემოვიტანოთ და ვასვათ ამათ. ნებით არ მიიღებენ, მაგრამ გავაღებინოთ პირი და ჩავუდოთ პირში“.**

**ეს განცხადება ბატონმა ომარ ნიშნიანიძემ 3 აგვისტოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ნაციონალების“ გამოსვლების შემდეგ გააკეთა.**

**„ალიას“ ომარ ნიშნიანიძე ესაუბრა:**

– ჩემი გამოსვლის შემდეგ რამაზ ყურაშვილმა დამირეკა, ცნობილი ექიმია: ბიჭო, ჩვენ რეკლამას უფრო უახლეს პრეპარატებს ვუწევთ, რაღა დროს „ბილობილიაო“? შეიძლება მე ჩამოვრჩი, მაგრამ „ნაციონალებს“ არც ახალი პრეპარატები უშველითმეთქი. ესენი წამალში რომ ჩაახრჩო, მაინც არაფერი ეშველებათ.

**— ბატონო ომარ, აკო მინაშვილს ჰკითხეს, ნიშნიანიძის განცხადებაზე რას იტყვითო? მან ასეთი კომენტარი გააკეთა: ნიშნიანიძე ცარიელი ადგილია, მაგას არავინ უსმენსო.**

– აკო მინაშვილი უზნეო ადამიანია... საერთოდ, აკოები, მაკოები, ტაკოები უზნეოები არიან. ესე იგი, მაგათ მთავარი დამნაშავე რომ ჰყავთ საზღვარგარეთ, იმან დაარიგა ესენი ჭკუაზე, შემოლაგდნენ პარლამენტში და პირველივე დღეს დაიწყეს უზნეო აქტიურობა. ამათ ჩაფიქრებული აქვთ, რომ მაქსიმალურად უნდა გააქტიურდნენ შემოდგომისთვის და არიონ სიტუაცია, რათა დიდი პრობლემები შეექმნას ხელისუფლებას. ამათ განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როცა ნარკოტრასა გადაუკეტა. ტონობით ჰეროინის ხსნარი რომ შემოჰქონდათ აზერბაიჯანიდან და გაიჭედნენ, გახსოვთ, ხომ? ამათ, ფაქტობრივად, შავი ფული შეუმცირდათ და ამიტომაც არიან პანიკაში, ამიტომაც იკბინებიან შემოდგომის ბუზებივით. ესენი ისხდნენ წილში, ესენი აკონტროლებდნენ ამ ყველაფერს. ვანო მერაბიშვილისა და მიშა სააკაშვილის გარეშე ჭიანჭველა არ დაძვრებოდა მიწაში.

**— „ნაციონალები“ პარლამენტში სხედან თქვენ გვერდით, კონკრეტულად ამ ფაქტის შესახებ საპარლამენტო კულუარებში ლაპარაკი არის? თქვენ მათ პირადად უთხარით ამის შესახებ?**

– როგორ არ ვეუბნებით? კომიტეტების სხდომებზე გვითქვამს, ისე გვითქვამს, შეხვედრების დროს. მართალია, მე მაგათ დიდი ენთუზიაზმით არ ველაპარაკები, მაგრამ ამის შესახებ ვუთხარი. ზოგიერთი ჩვენი თანაგუნდელი მაგათ პირზე კოცნით ხვდება, მე გამარჯობის თქმაც არ მინდა. მომენტალურად თუ მივახლი ჩემს სათქმელს, თორემ მაგათთან საუბარი როგორ შეიძლება?

**— მერე რას გპასუხობენ?**

– რასაც გვპასუხობენ, ხომ ჩანს? მე მგონია, რომ მათი გამწარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ამ ნარკოტრასის გადაკეტვაა. ახლა მითხრეს, მიშა სააკაშვილი ახლა ალბანეთში ჩასულა, ხომ ხედავთ, როგორ დაწანწალებს?

**— კი, ვერ ისვენებს, დღეს თურქეთშია, ხვალ — საბერძნეთში, ზეგ — ალბანეთში, რას გაიგებ?**

– ბიჭმა მილიარდები იშოვა, საკუთარი იახტაც ჰქონია, გაუჭირდება თუ? მიშა მაჭავარიანი გამოვიდა პარლამენტში და იძახის, სააკაშვილი 2-3 კოსტიუმზე დაიყვანეთო. სწორედ ამან გამაცოფა, როგორც მითხრეს, ეგ იახტა 15 მილიონ დოლარამდე ღირს, თუნდაც 1 მილიონი იყოს, ეს არის 2-3 კოსტიუმი? დრო და დრო ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დესტრუქციული ძალაა, შეიძლება ჩვენ ცოტა გამოცდილება გვაკლია, მაგრამ ამათ ალაგმვას მაინც შევძლებთ, ფეხზე მყარად ვდგავართ. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც-ვიღაცები შეთქმულებაზე ოცნებობენ, დიდი იმედი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილისა, ყველა სიძნელეს მასთან ერთად გადავლახავთ. ჩვენ ახლა გვიკიჟინებენ, ამდენს როგორ ალაპარაკებთ „ნაციონალებს“? ჩაყარეთ ერთ დღეს ციხეშიო. ასე არ გამოვა, მაშინ ეს სახელმწიფო აღარ იქნება, სააკაშვილმა მოინდომა ყველას ჩაყრა ციხეში და ყველაფერი როგორც დამთავრდა, ვიციით. ჩვენ ვჩქარობთ ნელა, ვფრთხილობთ, ერთბაშად ვერ დავეტაკებით, ასევე ანგარიშგასაწევია ის ფაქტორიც, რომ დასავლეთში მათ ძალიან დიდი ლობი ჰყავთ. „ნაციონალები“ ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავდნენ დასავლეთში.

**— ბატონო ომარ, „ნაციონალებმა“ თურქეთში სააკაშვილისგან მიიღეს დირექტივა, რომ ქვეყანაში უნდა გამოიწვიონ ქაოსი, პროცესი დაწყებულია, ახლა როგორ უნდა მიხედოთ ამ საქმეს? ისე, როგორც ვატყობ, კოალიციაშიც ოცნებობს ზოგიერთი შეთქმულებაზე.**

– კი, მიშამ ინსტრუქციები უკვე მისცა თავის ლაქიებს. აქ მახსენდება ირაკლი ბათიაშვილის საქმე, ადამიანმა ორი სიტყვა უთხრა ტელეფონით ემზარ კვიციანს და სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს. ესენი, ეს სახელმწიფოს დამაქცევრები ჩადიან თურქეთში, თათბირს ატარებენ და არქიფო იქიდან იძლევა ინსტრუქციებს, ქვეყანას ისევ დაქცევას უპირებენ. არ იფიქროთ, რომ მიშა მარტო თავისი ნებით მოქმედებს, მაგასაც გავლილი აქვს ინსტრუქტაჟი უცხოეთის გარკვეულ წრეებში, ასე მარტივად არაა საქმე. მიშასაც თავისი დამრიგებლები ჰყავს, თავისი ლობისტებისა და მამების ჩათვლით. ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ? უნდა ვიყოთ ფრთხილად.

**— დღეს ყველა ნორმალური ადამიანი ამბობს, რომ ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს მუშაობა უცხოეთში ლობისტებთან და ასევე უნდა გააქტიურდეთ თქვენ, დეპუტატები.**

– კი, სრულიად გეთანხმებით, ამაზე ჩვენც არაერთხელ გვქონია

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*



**„აკო მინაშვილი უზნეო ადამიანია... საერთოდ, აკოები, მაკოები, ტაკოები უზნეოები არიან. ესე იგი, მაგათ მთავარი დამნაშავე რომ ჰყავთ საზღვარგარეთ, იმან დაარიგა ესენი ჭკუაზე, შემოლაგდნენ პარლამენტში და პირველივე დღეს დაიწყეს უზნეო აქტიურობა“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „გაფრთხილებთ: საქართველოდან ახლავე აახვიეთ...“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე ბიძინა ივანიშვილს მიმართავს და საქართველოს დატოვებას ურჩევს:

„მინდა მივმართო რუს ოლიგარქ ბორია ივანიშვილს: მიუხედავად იმისა, რომ თქვენი კასტისთვის კლასიკური ინსინუაციებისა და ფოკუსების ხარჯზე, ჩვენი შეცდომების გამოყენებით და არამზადული ხერხებით დაეუფლეთ არა მარტო ხელისუფლებას, როლიდანაც, პასუხისმგებლობის აცილების მიზნით, სასწრაფოდ გაკურცხლეთ და თქვენი დატოვებული მთავრობის სრული კონტროლის ყველა ბერკეტი დაიტოვეთ, რაც არის კიდეც ოლიგარქიული, და არა „ქართული ოცნების“ აღსრულების ნამდვილი მოტივაცია; თქვენს „მენცარულ“ რეალობაში მიგაჩნიათ რა, რომ ამ ქვეყნის არსიყვარულის გარემოში გაქვთ უფლება, მასზე და მის მოქალაქეებზე ექსპერიმენტები ჩაატაროთ, სრული იმბეცილიზმის ფონზე ქართველებზე მასწავლებლად ჩათვალოთ თავი და თქვენი სტაფილოს წვენის პათოლოგიის გამოხტომების მიხედვით მართოთ ქვეყანა, გიცხადებთ: თქვენ ხართ სრული არარაობა, რომელსაც მხოლოდ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში შეიძლება ჰქონდეს თქვენივე გამოგონილი ავტორიტეტი; რეალობაში ბრძანდებით თქვენი რუსული სისხლიანი ფულისა და პუწინის პროვინციელი, გონებაშეზღუდული მონა, რომელმაც, მხოლოდ კონკრეტულო მომენტუმისა და ოკუპანტის მხარდაჭერის ხარჯზე მოიპოვეთ საქართველოზე სრული კონტროლი. გაფრთხილებთ: სიტუაციას იქამდე ნუ მიიყვანთ, რომ თქვენს მიერ მოტყუებულმა ხალხმა შუაზე გაგგლიჯონ. ყველაფერს ვიზამ, რომ თქვენი ვითომ პიროვნების არარაობა ადამიანებს თვალნათლივ დავანახო, რაც, საბოლოოდ, თქვენი და თქვენს მიერ გამოგონილი უნიათო არამზადათა მთავრობის ქვეყნის სხეულიდან ჩამოცილებას განაპირობებს. ეს ასე მოხდება და ნუ შეეცდებით ჩემს, როგორც პუწინის ძებნილის, მის საამებლად და თქვენი თავის გადასარჩენად დაპატიმრებას, რაც პროცესს მხოლოდ დააჩქარებს. მიიღეთ საღი გადაწყვეტილება და საქართველოდან ახლავე აახვიეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე დიდხანს მოგიწევთ იმ საკნებში თქვენი უაზრო წლების გატარება, რომლებსაც, თქვენი მშიშრობისა და ვითომ რაიმედ არსებობის გამო, ჩემი მეგობრები ამაგრებენ. პირობას გაძლევთ, არ ვბაქიბუქობ და ნამდვილად გამოგიყვანთ წირვას, უნიათო და არარაობავ, რუსო ოლიგარქო!“, – წერს თარგამაძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მერიაში არაპროფესიონალები ვეღარ იმუშავებენ



თბილისის მერიიდან თანამშრომლების იძულებით გათავისუფლების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას, დედაქალაქის მთავრობაში ეხმაურებიან. მერიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, თანამშრომლების იძულებით განთავისუფლებაზე არსებული ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება და უწყებაში თანამშრომლების შერჩევა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის მიხედვით ხდება:

„თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, მერიის სისტემაში ვეღარ იმუშავებენ არაპროფესიონალი თანამშრომლები, რომლებიც ხელმძღვანელების მიერ მიცემულ ელემენტარულ დავალებასაც კი ვერ ასრულებენ. რაც შეეხება ათასობით თანამშრომელს, რომელიც კვალიფიციურად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ასეთი ადამიანები გააგრძელებენ მუშაობას.

ამავდროულად, კანონმდებლობის შესაბამისად, ჩატარდება ატესტაცია, რომლის საშუალებითაც დაკომპლექტდება მერიის სამსახურები. რაც შეეხება ახალი თანამშრომლების დანიშვნას, მათი შერჩევა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად მოხდება“, – აცხადებენ მერიაში. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

საუბარი. თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, პიარი საჭირო არ არის, ყველაფერი საქმით დავამტკიცოთო, მაგრამ პოლიტიკა არ არსებობს პიარის გარეშე. მე არ ვლაპარაკობ უაზრო ტრაბახზე, საზოგადოებამდე მაქსიმალური ინფორმაციის მიტანაა საჭირო და ასევე გასატანია საზღვარგარეთ. კი, უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ამ მხრივ. ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ჩვენს სამინისტროებზე. ყველა სამინისტროში არსებობს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი.

**— ბატონო ომარ, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ სამინისტროში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ერთ-ერთი ძებნილის, ყოფილი მაღალჩინოსნის ახლო ნათესავი, რომელიც უცხოელ დიპლომატებთან ბიძინა ივანიშვილს პუტინის მონას ეძახის, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილსა და მის ხელქვეითებს — დებილ ბავშვებს.**

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს სიმართლეა.

**— ერთ-ერთი სამინისტრო გადატენილია სოსო თოფურიძის ხალხით, ნათესავებით. ამას წინებზე ერთი უნდა მოეხსნათ და იმდენი დამცველი გამოუჩნდა, კი არ გაუშვეს, დააწინაურეს.**

– იცით, გული რაზე მტკივა? ჩვენ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ნაკლებად მიგვიწვდება ხელი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილებებზე. თითქოს არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ პარლამენტმა წამყვანი ადგილი დაიკავოს პოლიტიკურ სივრცეში. არ ვიცი, შეიძლება მე მეშლება, მაგრამ მაინც მგონია, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა კოალიციისა და პარტია „ქართული ოცნების" დეპუტაციას, თუნდაც საკადრო საკითხების გადაწყვეტაში. ამას ალალად ვამბობ, ჩვენ გუნდის შიგნით გვაქვს ამაზე საუბრები, ძალიან ბევრს სტკივა გული, რომ ეს პრობლემა დღემდე პრობლემად რჩება. როდესაც სამინისტროებში დეპარტამენტების დონეზე ჩამოვდივართ, იქ ვაწყდებით რაღაც საშინელებას, საოცარი კედელია აღმართული და იქ „ნაცმოძრაობის" კადრები ფარულად ეწევიან საბოტაჟს, რათა შეაფერხონ ხელისუფლების წინსვლა. მე პირადად შევეჩეხე ასეთ მომენტებს ერთ-ერთ სამინისტროში. სხვათა შორის, უმრავლესობა კარგა ხანია არ შევხვედრივართ, უკვე დაიწყო საყვედურები – სად არის უმრავლესობის ლიდერი, რა ხდება? ასევე დაგვიგვიანდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, ჩვენი გულისტკივილი რაღაც საკითხებზე შიგნით მაინც ხომ უნდა ვთქვათ? ბევრ რამეს გარეთ ვერ გამოვიტანთ, ხომ ხედავთ, „ნაციონალები" როგორ არიან შეკრულები და როგორ აქტიურობენ?

**— თქვენ არ გეჩვენებათ, რომ პარტია „ქართული ოცნება" გაჩერებულია?**

– სამწუხაროდ, კი არ მეჩვენება, ასეა. სამწუხაროდ, ჩვენი პარტია ამ ეტაპზე გაყინულია. არ ხდება კადრების გადახალისება, არ ხდება კადრების შერჩევა, მოზიდვა და ასე შემდეგ. მეტსაც გეტყვით, დღეს პარტია, ფაქტობრივად, არის კითხვის ნიშნის ქვეშ. თუმცა იმედი მაქვს, რაღაც დაიწყება. მე სულ ამ იმედით ვარ... მაშინ, როცა „ნაციონალები" უკვე ემზადებიან 2016 წლის არჩევნებისთვის, ჩვენ ვართ გაყინულ მდგომარეობაში. ამაზე უკვე ვლაპარაკობთ შიგნით და ვფიქრობ, ცოტა ხანში კოალიციაში ძალიან სერიოზული საუბრები დაიწყება.

„ნაციონალური მოძრაობა" ძალიან დესტრუქციული ძალაა, შეიძლება ჩვენ ცოტა გამოცდილება გვაკლია, მაგრამ ამათ ალაგმვას მაინც შევძლებთ, ფეხზე მყარად ვდგავართ. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც-ვიღაცები შეთქმულებაზე ოცნებობენ, მე დიდი იმედი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილისა, ყველა სიძნელეს მასთან ერთად გადავლახავთ"




„მიკვირს, რომ ჩვენ მერაბ შათირიშვილი ვერ გამოვიყენეთ, ამისთანა გულშემატკივრები არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ხალხი დავკარგეთ, ვერ მოვახერხეთ მათი დასაქმება თუნდაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. როგორ შეიძლება ასეთი კადრის დაკარგვა, ის ხომ გულანთებული მებრძოლია?"

**— იმის ფონზე, რასაც „ნაციონალები" აკეთებენ დღეს, „ქართულ „ოცნებაში" პირდაპირ განგაში გაქვთ გამოსაცხადებელი.**

– მთლად კატასტროფულ სურათს ნუ დავხატავთ, მაგრამ დაახლოებით ასეა, გამოფხიზლება აუცილებლად გვმართებს. ალბათ, უახლოეს ხანში პრემიერ-მინისტრს შევხვდებით და სიტუაცია დალაგდება.

**— 6 აგვისტოს „ქართული ოცნების" ყოფილი წევრი, მერაბ შათირიშვილი ჭადრაკის სახლში მართავს ყრილობას, სადაც უკვე ოფიციალურად მოითხოვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. მახსოვს, თქვენ ამ იდეას ერთ დროს მხარს უჭერდით, ისევ იმ აზრზე ხართ?**

– თქვენ არ იფიქროთ, რომ მე პარლამენტარის სკამს ვეკიდები... ოღონდ „ნაციონალები" არ იყვნენ პარლამენტში და ორივე ხელს ავწევ, თანახმა ვარ, მაგრამ მე მგონი, უკვე დაგვიანდა. ვადამდელი არჩევნები კიდევ ერთხელ არევს ქვეყანას და მართლა დაიწყება ქაოსი. ავია თუ კარგია, ჩვენ როგორმე უნდა მივიდეთ 2016 წლამდე. სხვათა შორის, მიკვირს, რომ ჩვენ მერაბ შათირიშვილი ვერ გამოვიყენეთ, ამისთანა გულშემატკივრები არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ხალხი დავკარგეთ, ვერ მოვახერხეთ მათი დასაქმება თუნდაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. როგორ შეიძლება ასეთი კადრის დაკარგვა, ის ხომ გულანთებული მებრძოლია? არ ვიცი, შეიძლება კარგიც კი იყოს, რომ გამოცხადდეს ვადამდელი არჩევნები და „ნაციონალები" საბოლოოდ დავფერთხოთ. თუმცა რამდენიმე „ნაციონალი" საჭიროა, რომ სპირტის კოლბაში ჩავსვათ და მომავალ თაობებს ვაჩვენოთ.

**„ჩვენ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ნაკლებად მიგვიწვდება ხელი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილებებზე. თითქოს არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ პარლამენტმა წამყვანი ადგილი დაიკავოს პოლიტიკურ სივრცეში"**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ოქრიკას" დედა ლაშა მახარაძის პანაშვიდზე მისვლას ცდილობდა"



ბარნოვის ქუჩაზე მოკლული ლაშა მახარაძის ოჯახის ერთ-ერთი ახლობელი თეა ფირცხალავა „ფეისბუკზე" წერს, რომ გიორგი ოქრიაშვილის („ოქრიკას") დედა ცირა გოდერძიშვილი ოჯახში პანაშვიდზე მისვლას ცდილობდა. მისი ინფორმაციით, ის ლაშა მახარაძის მეგობრებმა ამოიცნეს და სახლში არ შეუშვეს.

„ორმაგად შოკირებული დავბრუნდი გაუბედურებული ოჯახიდან. მკვლელი აღმოჩნდა ჩემი (აწ უკვე ყოფილი) ფბ მეგობრის შვილი გიორგი ოქროპირიძე, რომელიც სააღდგომოდ გამოვიდა ციხიდან – პრეზიდენტ მარგველაშვილის შეწყალებით (და არა ამნისტიით).

საინტერესოა, რას ფიქრობდა მკვლელის დედა, როდესაც აკლებული ჰყავდა მასმედია და სოციალური ქსელები და მისი „უდანაშაულო და გაწამებული შვილის" გამოშვებას ითხოვდა...

მინდა აქვე ბოდიში მოგიხადოთ, რადგან არაერთხელ მეც გავიზიარე ამ ქალის დარდი, ხელისუფლებას მოვუწოდე მისი ციხიდან გამოშვება, ისე, რომ არც კი ვიცოდი ამ დედაკაცის შვილის ციხეში ჯდომის მიზეზი... არადა, ისე იცავდა შვილს, რომ მეუხერხულა მეკითხა, რის გამო იჯდა მისი „ვაჟკაცი"... ასეთ შეცდომას ნამდვილად აღარ დავუშვებ... ან რას ფიქრობდა ეს ქალი, როდესაც მკვლელის დაცვას გვთხოვდა? კარგად იცით, რომ ჩემი 17 წლის გმირი ვაჟი, ჩემი ირაკლი, ჩემი ცხოვრების აზრი და იმედი – უცხო ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას შეეწირა, მაგრამ იმავე ირაკლის გეფიცებით, რომ მითხრან, ხვალ გაგიცოცხლებთ, ოღონდ ერთ ადამიანს (მეგობარზე რომ აღარაფერი ვთქვა) მოკლავსო, უარს ვიტყვი, ან ჩემივე ხელით მოვკლავ... ვინც მიცნობს, იცის, რომ სიმართლეს ვამბობ! და კიდევ უარესი რამ მოხდა დღეს... პანაშვიდზე რომ ვიყავი, უცებ ჩოჩქოლი ატყდა... და იცით, რატომ? ეს უტიფარი ქალი უბედურ ოჯახში მოვიდა, ალბათ, სიტუაციის დასაზვერად. უკითხავს, რა მოხდაო :(((

ბიჭებმა ამოიცნეს და გააგდეს... არადა პოლიცია ერთი საათის წასული იყო მისი სახლიდან და კარგად იცოდა, რაც მოხდა და ისიც, რომ მისმა ნაძირალა შვილმა კიდევ ერთი მეგობარი გამოასალმა სიცოცხლეს... ითქვა, რომ ამ არაკაცს კიდევ ერთი მეგობარი დაუჭრია სასიკვდილოდ 2 თვის წინ და ბედად, ის ბიჭი გადარჩენილა... დამნაშავე კი არავინ დაიჭირა :((((( შორს ჩემგან, ვერაგო დედაკაცო... შენი სახელის ხსენებაც კი მზარავს... შენი გაზრდილი შვილი სხვანაირი როგორ იქნებოდა?! სირცხვილი შენ!!!", – წერს ფირცხალავა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დევდორაკის ჩამოშლის საშიშროება ისევ არსებობს



დევდორაკის ხეობაში მოსალოდნელი ძლიერი წვიმის გამო საქმის კურსშია საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თუმცა მათთვის ჯერჯერობით უცნობია, გამოიწვევს თუ არა ნალექი ნაშალის ჩამოტანას.

გზების დეპარტამენტის უფროსის განცხადებით, მომხდარი სტიქიის შემდეგ კვლავაც მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები.

„გაფრთხილებული ვართ, რომ დღეს და ხვალ დევდორაკის ხეობაში ამინდის გაუარესება და უხვი ნალექია მოსალოდნელი. თუმცა რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ნალექს, ეს არავინ იცის. აქედან გამომდინარე, ის, რომ ჩვენ სპეციალური ტექნიკის მობილიზება მოვახდინოთ, შეუძლებელია, გააჩნია რა მოხდება და რას დააზიანებს. თუმცა ორი კვირის წინ მოხდა სტიქია და იქ ნაპირსამაგრი სამუშაოები ისევ მიმდინარეობს. ადგილზე მობილიზებულია ოცამდე ერთეული მძიმე ტექნიკა და ასრულებს აღდგენით სამუშაოებს. ასე, რომ თუ რაიმე ინციდენტი მოხდა სწრაფად მოვახდენთ ადგილზე ტექნიკის მობილიზებას", – განაცხადეს დეპარტამენტში. (ნიუპოსტი)

## ლენტეხში მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა




ლენტეხში მომხდარ მკვლელობას „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე შსს-ს პრესსამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ეხმაურება: „ლენტეხში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. მკვლელობის მოტივი ეჭვიანობა იყო“, – წერს გიორგობიანი.

ლენტეხის რაიონ სოფელ სასაში ახალგაზრდა მამაკაცი ჩაცხრილეს. როგორც შსს-ში აცხადებენ, დამნაშავის ვინაობა დადგენილია და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები მის დასაკავებლად. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის 108-ე მუხლით არის აღძრული, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## საათიანი რიგები თბილისის აეროპორტში



„ძალიან სამწუხაროა, რაც თბილისის აეროპორტში ხდება. 1-საათიანი რიგები, ბიომეტრიული პასპორტების აპარატი არ მუშაობს და ყველაზე სამარცხვინო რაც არის, ნაცნობობით ხალხის გატარება. დიპლომატებისთვის არსებობს დიპლომატიური გასასვლელი, რომელიც არ ფუნქციონირებს, ხოლო ვისაც რიგში დგომა არ უყვარს, იმისთვის, რომ სხვა რიგში მდგომებს თავზე არ გადაუაროს, შეუძლია ფული გადაიხადოს და ბიზნესგასასვლელით ისარგებლოს“, – წერს უწყებათაშორისი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე თამარ კინწურაშვილი. (ნიუპოსტი)

## რა კავშირი აქვს წულუკიანს ლაშა მახარაძის მკვლელის განთავისუფლებასთან





ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილ გიორგი ოქროპირიძესთან დაკავშირებით ახალი დეტალები ხდება ცნობილი. ოქროპირიძე საქართველოს წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში ციხეში არაადამიანური მოპყრობის გამო საქმეს აწარმოებდა. როგორც ოფიციალურ დოკუმენტაციაშია ნათქვამი, ოქროპირიძე სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით გარკვეულ თანხას ითხოვდა, შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ოქროპირიძის განთავისუფლებას არ ითხოვდა.

თუმცა, 2014 წლის 4 აპრილს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა, ვინმე მესხორაძემ სასამართლოში მიიტანა საქართველოს ხელისუფლების, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური წერილი, რომლის მიხედვითაც სამინისტრო ოქროპირიძის განთავისუფლებას ითხოვდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ინკოგნიტო წყარომ განუცხადა, ოქროპირიძე უშუალოდ თეა წულუკიანის მოთხოვნით განთავისუფლდა:

„ოქროპირიძეს ჰქონდა შეტანილი საჩივარი სტრასბურგში და საქართველოს მთავრობისგან ითხოვდა რამდენიმე ათას ევროს იმის გამო, რომ ამბობდა ციხეში არასათანადოდ მეპყრობოდნენო. მაქსიმუმ საქართველოს დააკისრებდნენ რამდენიმე ათასი ევროს გადახდას. სტრასბურგის სასამართლოს არ მოუთხოვია ოქროპირიძის განთავისუფლება. საქმეს აწარმოებდა იუსტიციის სამინისტრო. წულუკიანმა აიღო ვალდებულება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, საქმე შეწყვიტეთ და გამოვუშვებ ციხიდანო. ეს დოკუმენტი სტრასბურგის სასამართლოში მიიტანა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელმა, მესხორაძემ 2014 წლის 4 აპრილს. მესხორაძე წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს.

იუსტიციის სამინისტროს აღებული ვალდებულება რომ შეესრულებინა, 2014 წლის 8 მაისს ოქროპირიძე გაათავისუფლა მარგველაშვილმა. 2014 წლის 27 მაისს სტრასბურგის სასამართლომ დაამტკიცა მორიგება ოქროპირიძესა და იუსტიციას შორის და შეწყვიტა საქმე. ეს ვალდებულება რომ აიღო წულუკიანის უწყებამ მითითებულია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ამ წერილზე ხელს წულუკიანი აწერს. ეს არის ვებგვერდი, სადაც გადაწყვეტილებაა განთავსებული და რაც ზემოთ წერია, არის მითითებული“, – აცხადებს წყარო.

„ნიუპოსტმა“ აღნიშნული ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურში გადაამოწმა. მარიამ სხილაძის განმარტებით, საუბარია საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეზე, ასეთ შემთხვევებში შესაბამისი უწყებები ცდილობენ, რომ მსგავს საქმეებზე შეთანხმება ქვეყნის შიგნით იქნეს მიღწეული:

„ის განცხადება, რომ თეა წულუკიანის მოთხოვნით მოხდა გიორგი ოქროპირიძის განთავისუფლება, სიმართლეს არ შეესაბამება. ოქროპირიძე ამნისტირებულია და ის პრეზიდენტმა შეიწყალა. საქმე სტრასბურგის სასამართლოში ქვეყნის წინააღმდეგ იყო წარმოებული, სახელმწიფო კი ყოველთვის ცდილობს, მსგავსი პრობლემები ქვეყნის შიგნით იყოს მოგვარებული და არ გავიდეს ქვეყნის გარეთ, ერთადერთი, რაც შეიძლება წულუკიანის სახელს უკავშირდებოდეს, არის სწორედ ის, რომ გარკვეული შეთანხმების შედეგად ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული საქმე შეწყვეტილიყო. ის, რომ თეა წულუკიანმა მოითხოვა ოქროპირიძის განთავისუფლება სისულელეა“, – აცხადებს სხილაძე. (ნიუპოსტი)

## დეპუტატებს მუშაობის დროზე დაწყება უჭირთ




დეპუტატებს მუშაობის დროზე დაწყება თბილისშიც უჭირთ. 4 სექტემბერს 12.00 საათისთვის დანიშნული იყო პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების სხდომები, თუმცა დანიშნულ დროს ვერც ერთი კომიტეტის სხდომა ვერ დაიწყო, რადგან საჭირო რაოდენობის დეპუტატები არ მოგროვდნენ. კომიტეტები რამდენიმე წუთის დაგვიანებით, მას შემდეგ დაიწყო, რაც კვორუმი ადგილმონაცვლე დეპუტატებით შეივსო.

კომიტეტების სხდომებს არ დასწრებიან საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები. როგორც ამასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, მისი ოპოზიციონერი კოლეგები მაინცდამაინც არც ქუთაისში გამართულ კომიტეტის სხდომებში მონაწილეობაზე იწუხებდნენ თავს. ხმალაძის თქმით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომას არც ერთი ოპოზიციონერი დეპუტატი არ დასწრებია, მათ შორის კომიტეტს არც ის დეპუტატები ესწრებოდნენ, რომლებმაც პლენარულ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა. (ინტერპრესნიუსი)

## მედიკამენტების რეცეპტებით გაცემა მშვიდად მიმდინარეობს



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით, მოლოდინები, რომ მოქალაქეებს აფთიაქებში რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეექმნებოდათ, არ მართლდება. მისი თქმით, პროცესი აბსოლუტურად მშვიდად, შეფერხების გარეშე მიმდინარეობს.

„რეგულაცია, რომელიც 1-ელ სექტემბერს ამოქმედდა, თავისი შინაარსით ახალი არ არის, არამედ დავიწყებულის აღდგენაა. ყველა ნორმალური ქვეყანა მუშაობს ასე და საქართველოშიც, სანამ არ გაუქმდებოდა, ასე იყო. პროცესი, მიუხედავად წინა პერიოდის მართლაც დიდი მღელვარებისა, მიდის აბსოლუტურად მშვიდად, ჩვენ გვაქვს ყოველდღიური მონაცემები საქართველოს მასშტაბით 500 სამედიცინო დაწესებულებიდან, ასევე, სააფთიაქო ქსელიდან. პროცესი მიდის აბსოლუტურად მშვიდად, შეფერხების გარეშე და ის მოლოდინები, რომ რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეექმნებოდათ მოქალაქეებს, არ რეალიზდა“, – აღნიშნა სერგეენკომ. (ინტერპრესნიუსი)



## საქართველოში ძლიერი სეტყვაა მოსალოდნელი



საქართველოს მასშტაბით უახლოესი ორი დღის განმავლობაში წვიმა და სეტყვაა მოსალოდნელი.

გარემოს დაცვის სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის განცხადებით, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 5 და 6 სექტემბერს სინოპტიკოსები სეტყვას ვარაუდობენ. რაც შეეხება ჩრდილოეთის მთიან რაიონებს, მოსალოდნელია ძლიერი წვიმა, მათ შორის ძლიერი წვიმაა მოსალოდნელი დევდორაკის ხეობაშიც. დასავლეთ საქართველოში უახლოესი ორი დღის განმავლობაში მოსალოდნელია წვიმა ელჭექით. რაც შეეხება დედაქალაქს, 5 სექტემბერს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით, ეს ყველაფერი მაღალი ტემპერატურის ფონზე მოხდება. მომდევნო დღეებიდან წვიმა მოსალოდნელი აღარ იქნება. (ნიუპოსტი)

## ავტომაგისტრალზე დასაქმებულმა მუშებმა გაფიცვა დაასრულეს




ზესტაფონი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე დასაქმებულმა მუშებმა ორდღიანი გაფიცვის შემდეგ მუშაობა განაახლეს. მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა იმერეთის გუბერნატორისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევით მოხდა.

შეხვედრაზე გაფიცული მუშების საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა საკუთარი მოთხოვნები წამოაყენეს, ხოლო კომპანია „ტოდინი ტაკენაკას“ ადმინისტრაცია, თავის მხრივ, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას დასთანხმდა.

იტალიურმა კომპანიამ ერთი კვირის ვადაში დასაქმებულები წყლით, კვებისა და სანიტარიული პირობების დაცვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით უნდა უზრუნველყოს. ავტომაგისტრალზე სამუშაოები სრული დატვირთვით ხორციელდება.

ზესტაფონი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე დასაქმებულმა მუშებმა საპროტესტო აქცია ორი დღის წინ გამართეს. 50-მდე ადამიანი ცუდ სამუშაო პირობებს აპროტესტებდა. (ინტერპრესნიუსი)

## Der Spiegel – ეს დღე შეიძლება ახალი ცივი ომის დასაწყისი გახდეს




გერმანული გამოცემის **Der Spiegel**-ის აზრით, 4 სექტემბერი შეიძლება შევიდეს ისტორიაში, როგორც ახალი „ცივი ომის“ დასაწყისი დასავლეთსა და რუსეთს შორის. მიმომხილველი წერს, რომ ახალი სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს რუსეთს არ სურდა.

თითქმის 25 წელი გრძელდებოდა ზავი მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის, რომელიც დღეს შეიძლება უკვე ითქვას, რომ დროებითი აღმოჩნდა.

„ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ რუსეთს არ სურს, ხოლო დასავლეთს უკან არ დაიხევა არ შეუძლია. ეს არის „ტანგო ორისთვის“ – ასე დაახასიათა ერთხელ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები რონალდ რეიგანმა. და ახლა ჩვენ წარსულში ვბრუნდებით. და 25-წლიანი პოლიტიკური განმუხტვა წარსულს ჩაბარდა“, – წერს ავტორი.

მიმომხილველი იხსენებს ცივი ომის თეზისს: „ელოდეთ მტრისგან უარესს“. მაგრამ ევროპასა და ამერიკაში არავინ ელოდა, რომ ვლადიმერ პუტინი ყირიმის ანექსიას განახორციელებდა.

„მოვლენების ლოგიკიდან გამომდინარე, თუ ის ამას არ გააკეთებდა, დღეს უკვე გადამდგარი უნდა ყოფილიყო“, – აღნიშნავს ავტორი.

დასავლეთს, თავის დროზე უნდა ეფიქრა, რომ „შეშფოთების გამოხატვა“ საკმარისი არ იქნებოდა, ასკვნის ავტორი. (ნიუპოსტი)

## უელსის სამიტის უსაფრთხოებას 9 500 პოლიციელი იცავს

უელსში ნატო-ს სამიტს 60 ქვეყნის ლიდერი და 70 ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ესწრება. ადგილობრივი მედიის ცნობით, სამიტს დაესწრება ასევე 4 ათასამდე დელეგატი.

კარდიფში ჩავიდა ნატო-ს წევრი ქვეყნების ექვსი ხომალდი. სპეციალურად უელსის სამიტისთვის 157 სამახსოვრო მონეტა გამოუშვეს მსოფლიო ლიდერებისა და ადგილობრივი სკოლებისთვის გადასაცემად. სამიტის გამო დახურულია 110 სკოლა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სასტუმრო **Celtic Manor Resort**-ში 800 ადამიანი მუშაობს და სამიტის სტუმრებს ემსახურება.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მსოფლიოს ქვეყნიდან მედიის 1 500 წარმომადგენელი აშუქებს. უსაფრთხოებას კი 9 500 პოლიციელი იცავს. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



ირმა ჭოლოკავა

# 8 სექტემბრიდან კანცელარიასთან აქციები იწყება

8 სექტემბერს სახელმწიფო კანცელარიის წინ აქცია გაიმართება სახელწოდებით „რიგდება ქართული ოცნებები“. როგორც აქციის ორგანიზატორები ამბობენ, ეს იქნება დაპირებების შეხსენება ხელისუფლებისთვის, რომელსაც არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია 2 წლის მანძილზე. აქცია სოციალური ქსელით დაიგეგმა.

ძირითადი ყურადღება გამახვილდება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნოდ დაპირებულ სამუშაო ადგილებზე, ქარხნების აშენებაზე, საწვავის ფასის შემცირებაზე, სოციალურ დახმარებაზე, კომუნალური გადასახადების შემცირებაზე, პენსიების მომატებაზე და და ყველაფერ იმაზე, რასაც ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე მოსახლეობას დაჰპირდა.

„ალიას“ აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, **ირმა ჭოლოკავა** ესაუბრა:

**— ირმა, ვინ არის აქციის ორგანიზატორი და რა რაოდენობის ხალხს ელოდებით?**

– ჩვეულებრივი მოქალაქეები ვართ აქციის ორგანიზატორები.

ამ აქციის მიზანი არის „ქართული ოცნების“ დაპირებების დარიგება. მოგეხსენებათ, წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი სასწაულებს დაჰპირდა ხალხს – ბენზინი გაიაფდებაო, ტარიფები გაიაფდებაო, გაზისა და ელექტროენერგიის გადასახადი დაიკლებსო, საბანკო კრედიტები და ბინები გექნებათო, აბსურდის თეატრი დააყენა. მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, პირველი, რაც გააკეთა, 80 მილიონი აიღო ბიუჯეტიდან და ჩაიდო ჯიბეში. მერე ხელი დაუქნია ხალხს და წავიდა.

**— მსგავსი გულისწყრომა ბევრს აქვს უკვე საქართველოში, აქამდე რატომ არ გააკეთეთ აქცია, რას ელოდით?**

– გვეგონა, შეიცვლებოდა სიტუაცია, თორემ გულხელდაკრეფილები არ ვყოფილვართ. ვაცდიდით, ახლა დავინახეთ, რომ ყველა არჩევნებში მათ გაიმარჯვეს და მაინც არაფერი შეცვლილა, გვყავს ყურით მოთრეული მერი, ამიტომ დადგა ის დრო, როცა უნდა ჩატარდეს აქცია.

**— ბევრი ხალხი გამოგყავთ?**

– ვფიქრობთ, საკმაოდ ფართომასშტაბიანი აქცია იქნება. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი გამოვა, მთავარია დაფიქსირება. ეს პარტიული აქცია არაა. ჩვენ არავის ქოლგის ქვეშ არ ვიმყოფებით, ყოვლად მიუღებელია ბიძინა ივანიშვილის ქმედებები, რომელიც, დავინახეთ, რომ საქართველოს დასაქცევად არის შემოგზავნილი. ის საკმაოდ წარმატებულად ახორციელებს თავის პროექტს. თავისი თავი მეფედ მიაჩნია, მისი ნებართვისა და კაპრიზების შესრულებას უნდება მთელი მთავრობა. ჩვენ გვინდა, რომ ამ აქციით საზოგადოება გამოვაფხიზლოთ. დღევანდელი ხელისუფლება ყოვლად უუნაროა და საქართველოს ინტერესების აბსოლუტური იგნორირებისთვის არის მოსული. არ აქვს არანაირი საგარეო პოლიტიკა, საშინაოზე რომ არაფერი ვთქვათ.

**— არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ისედაც მძიმე ვითარებაში იყო და ახლა მეტად დამძიმდა, მაგრამ მაინც აქვს იმედი.**

– გეთანხმებით, რომ გამართული ეკონომიკა არ გვქონდა, მაგრამ საგარეო პოლიტიკური კურსი გვქონდა უკეთესი, ამათი დაპირება კი რა იყო? ეკონომიკის აყვავება, სოფლის მეურნეობა. ახლა კი აბსოლუტური სტაგნაციაა ყველა სფეროში.

**— რას აპირებთ აქციაზე, პეტიციის გადაცემას აპირებთ მთავრობისთვის, რა მოთხოვნებს დააყენებთ?**

– არ გვაქვს პეტიცია დაგეგმილი, დეტალებს ახლა არ გავახმაურებთ, ადგილზე გავაცნობთ ხალხს. ერთი ვიცი, რომ ნებისმიერი თემა, რომელიც პრიორიტეტული იქნება, დავგეგმავთ და მიიღებს ეს აქცია პერმანენტულ სახეს. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია. საქართველოს დღევანდელ მთავრობას ვპირდებით, არ მოვაწყენთ და ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემთ.

**— აქცია ახლა იმიტომ ხომ არ დაგეგმეთ, რომ შემოდგომაზე ხალხი ისედაც იყო აქციების მოლოდინში და მათი შემოერთების იმედი გაქვთ?**

– მე ექსპერტი არ ვარ, მაგრამ თუ გადავხედავთ მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, ბაზრის ფასებს, იმდენად სიძვირეა ახლა ბაზარში, რომ ზამთარში უფრო დამძიმდება სიტუაცია და ეს აუცილებლად იფეთქებს. მოსახლეობას მანამდე ეყოფა მოთმინება, ალბათ, სანამ ძალიან არ მოშივდება. საქართველოში კუჭით აზროვნებენ. ვინც ოცნებობდა, იმათთვის მოვიდა ეს ხელისუფლება და ვხედავთ, რაც მიიღეს. როცა საზოგადოების დიდი ნაწილი ოცნებას აჰყვა და აოცნებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველას საბანკო ანგარიშებს გაუხსნიდა, სახლში მიუტანდა სარეცხ მანქანებს, მაცივრებს და ყველაფერს გაუკეთებდა, რაც უნდათ, ის იფიქრონ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არავითარი პარტიული ქოლგის ქვეშ ჩვენ არ ვიმყოფებით. აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანები ვართ. ჩვენს შორის არიან ადამიანებიც, ვინც პარტიულებიც იყვნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს ზედამხედველობის ქვეშ ვართ და ამიტომ ვატარებთ აქციას. ამ ორწლიანი სტაგნაციის მერე მაინც გამოფხიზლდით, ხალხო, და გაახილეთ თვალები!

**— 6 სექტემბრიდან აქციები იწყება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. თქვენს აქციაზე ამ მოთხოვნასაც ხომ არ დააყენებთ?**

– არა, რადგან მიგვაჩნია, რომ ის, ვინც ვადამდელს მოითხოვს ხალხის სახელით... ეს პოლიტიკური ბინძური თამაშია. პარლამენტიდან უმრავლესობა გამოსაყრელია, მაგრამ აქ არის ერთი საკითხი. 50 „ნაციონალი“ დეპუტატის გამოყრა უნდათ, ამისთვის კეთდება ეს პოლიტიკური აქციები, რომ გადათამაშდეს სიტუაცია და ისინი ჩაანაცვლონ სხვა ახალი სახეებით, რომლებიც მარიონეტები იქნებიან. მათ უნდათ შექმნან ახალი შაპიტოს პარლამენტი. დაველოდოთ ზამთარს, მზის სინათლის სხივის სიჩქარით მივექანებით ჯანდაბაში.

**— რატომ ახსენეთ ზამთარი, რამე არის დაგეგმილი?**

– გადახედეთ მთავრობას, რა ხდება ყოველდღიურად და დიდი პროგნოზი არ დასჭირდება, სადამდე მივალთ. ყოველდღე მკვლელობები ხდება, იზორია გამოდის და სტატისტიკას გვიფრიალებს, არ გვჯერა ამ ზღაპრების.




ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რისი პირობა მისცა გიორგი მღებრიშვილმა უჩა ნანუაშვილს



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ გიორგი მღებრიშვილსა და სახალხო დამცველს შორის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შედგა.

„როდესაც მინისტრის პოსტზე მოვედი, ჩემი პირველი განცხადება იყო, რომ მჭიდრო და აქტიური ურთიერთობა მექნებოდა სახალხო დამცველთან და მის აპარატთან, რათა ერთად მოვერიოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც სასჯელაღსრულების სისტემაში ჩვენს წინაშე დგას. პირობას ვდებ, რომ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს შეუფერხებლად შეეძლებათ თავიანთი საქმიანობის განხორციელება სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში“, – განაცხადა მინისტრმა.

უჩა ნანუაშვილმა კი აღნიშნა:

„საუბარი შეეხო ჩვენს რეკომენდაციებს, რომელიც ეხება კონკრეტული პირების მიმართ არსებულ მდგომარეობას, რამდენიმე პატიმართან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების საკითხს. ვისაუბრეთ ზოგადად უსაფრთხოების საკითხზე. უნდა გაძლიერდეს პატიმართა სიცოცხლის დაცვა და ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის პროცესი. საუბარი შეეხო მე-7 დაწესებულებას, რომელში არსებული პირობების გაუმჯობესებასაც ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება. ასევე, განვიხილეთ ინიციატივები, რომლებიც უკავშირდება მონიტორინგის გაძლიერებას, საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩვენი წარმომადგენლებისთვის ფოტო და ვიდეოგადაღების დაშვებაზე“, – ომბუდსმენმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მოსკოვში უკრაინაში განხორციელებული აგრესიის საწინააღმდეგო მარში გაიმართება



21 სექტემბერს, მოსკოვში, რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის საწინააღმდეგო სამშვიდობო მარში გაიმართება. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ მასში 50 ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. მარშის შესახებ ინფორმაცია „ფეისბუკში“ ვრცელდება. მათი განცხადებით, ეს არის იმ აქციის გაგრძელება, რომელიც ა.წ. 15 მარტს გაიმართა.

„ჩვენ მოვითხოვთ შეწყდეს რუსეთის ხელისუფლების უპასუხისმგებლო აგრესიული პოლიტიკა უკრაინის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ არა მარტო ომი მოიტანა, არამედ მან შედეგად ათასობით რუსისა და უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა. უკრაინაში იხოცებიან და ტყვედ ვარდებიან რუსეთის არმიის მოსამსახურეები, მათ შორის პროფესიონალი სამხედროები. ეს უკვე პირდაპირი, შეუნიღბავი სამხედრო შეჭრაა, რასაც გამართლება არ აქვს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



ერთ-ერთ ქართულ ბანკში კლიენტი მიდის და ოპერატორს ეკითხება:

– თქვენს ბანკში ანაბრის გახსნა მინდა და ვის მივმართო?

– ვის უნდა მიმართოთ და... ფსიქიატრს!..

*****

სიდედრი სიძეს საკუთარ წარსულზე უყვება:

– ახალგაზრდობაში ძალიან ჩერჩეტი, გულუბრყვილო და არცთუ მომხიბვლელი ვიყავი...

– შესანიშნავად შემონახულხართ, დედიკო!..

*****

ცოლი ქმარს ურეკავს:

– ფისუნი, სახლში მალე მოხვალ?

– ცდები, ძვირფასო! დღეს ფისუნია არ იქნება – დღეს სახლში გამომტყვრალი ღორი მოვა, რომელიც სამსახურის შემდეგ მეგობრებთან აპირებს წასვლას.

*****

3 ტყუილი, რომელსაც ცხოვრებაში აუცილებლად მოისმენთ:

– მე შენ მიყვარხარ!

– სამუდამოდ ერთად ვიქნებით!

– ალგებრა მომავალში აუცილებლად გამოგადგება!..

*****

– კოტე, ჩემი მშობლები სოფელში წავიდნენ... ხვდები, რას ვგულისხმობ?

– ვაა, რა მაგარია – პომიდორს ჩამოგიტანენ...

*****



გოგო ბიჭს სოციალურ ქსელში სწერს:

– მოდი, ვირტუალური სექსით გავერთოთ.

– კარგი აზრია!

– შიშველი ქალი აღგაგზნებს?

– რა თქმა უნდა?!

– ნელ-ნელა ვიხდი ტანსაცმელს და მხოლოდ შენთვის ვცეკვავ სტრიპტიზს... რას შვრება შენი მეგობარი?

– კოტეზე მეკითხები? რა ვიცი, არის ნორმალურად, მანქანა იყიდა წინა თვეში... და რატომ დაინტერესდი?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ყველაზე უჩვეულო ალერგიული დაავადებები

ძალიან ადვილია ცხოვრება, თუკი ალერგია, მაგალითად, ფორთოხალზე გაქვთ – არ შეჭამთ ფორთოხალს და მორჩა. მაგრამ რა უნდა ქნათ, როცა ორგანიზმი თქვენს მეუღლეს ვერ იღებს?!.



მოვიძიეთ რამდენიმე ყველაზე უჩვეულო ალერგიული დაავადება, რომელთაგან იმედი გვაქვს, ახლოს არც ერთს არ იცნობთ და მათ შესახებ მხოლოდ საგაზეთო მასალიდან შეიტყობთ.

– ალერგია ფულზე – როგორც ასეთს, ფულზე ალერგიას მედიცინა ოფიციალურად არ აღიარებს, თუმცა ფაქტია, რომ ზოგიერთი ნივთიერება, რომელიც ბანკნოტებისა და მონეტების შესაქმნელად გამოიყენება, ალერგიულ რეაქციებს იწვევს. მაგალითად, ფართოდაა ცნობილი ალერგია ნიკელზე, რომელიც ბევრი ქვეყნის ფულის ერთეულის შემადგენლობაში შედის. ხურდასთან შეხებისას, ალერგიულ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს გამონაყარი, დაეწყოს აუტანელი ქავილი და ასე შემდეგ. უსიამოვნო სიმპტომები რამდენიმე საათიდან 6 დღემდე გრძელდება.



პრინციპში, ალერგია ფულზე არცთუ ისეთი გამოუსწორებელი უბედურებაა, თუკი, რა თქმა უნდა, ბანკში არ მუშაობთ, ან კოლექციონერი არ ხართ. აი, 33 წლის ბრიტანელი ივონ საიმონი კი საკუთარი ბედით კმაყოფილი ნამდვილად არ არის, რადგან მას ალერგია ემართება არა მხოლოდ ნიკელზე, არამედ კუპიურების საღებავზე და თითქმის ყველა კომპონენტზე. მისი განკურნება ექიმებმა წლების მანძილზე ვერაფრით შეძლეს და ისიც მხოლოდ საბანკო ბარათებით სარგებლობს.

– ალერგია ცოლზე – „მე შენ უბრალოდ, ვერ გიტან“, – საკუთარი ცოლისთვის არაერთგზის ნათქვამი ეს ფრაზა შოტლანდიელი დერენ იანგისთვის არა შეურაცხმყოფელი, არამედ უიღბლო სამედიცინო ფაქტის კონსტატაციაა. რამდენიმე წლის წინათ საცოდავ მამაკაცს ალერგიის უიშვიათესი ფორმა გამოუვლინდა, რომლის მსგავსი შემთხვევაც მედიცინაში ოფიციალურად მხოლოდ სამია დაფიქსირებული და რომელიც უარყოფით რეაქციებს პოლიეთინელგლიკოლის ქიმიურ შემადგენლობაზე იწვევს. ეს ნივთიერება ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკურ საშუალებებსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, რის გამოც, დერენ იანგი საკუთარ სახლში ისე გადაადგილდება, როგორც ჯარისკაცი დანაღმულ მინდორზე. მეტიც, საკმარისია, ის ცოლს მიუახლოვდეს, რომელსაც ხელებზე თუნდაც რომელიმე საცხი ჰქონდეს წასმული ან კბილები ჰქონდეს გამოხეხილი, რომ მთელ სხეულზე წყლულები უჩნდება და ქავილით კვდება. ჯერჯერობით, ალერგიის გამომწვევი მიზეზები დაუდგენელია და შესაბამისად, წამალიც არ არსებობს.

– ალერგია დედის რძეზე – სპეციალისტების გარკვეული ნაწილი დედის რძეზე ჩვილების რეაქციას ალერგიულ შეტევას არ მიაწერენ, თუმცა საზოგადოდ ამ მოვლენას მაინც ალერგიას უკავშირებენ. გამოვლენილია უამრავი ფაქტი, როცა მეძუძურ ბავშვებს რძის მიღების შემდეგ სიტუაცია უმძიმდებათ და მთელი სხეული გამონაყარით ეფარებათ. მედიკოსების განმარტებით, შვილის გამოკვებისას, დედებს ყოველდღიური რაციონის უმკაცრესი კონტროლი მართებთ, რათა საკუთარ თავს – ნერვიულობა, პატარებს კი უსიამოვნო შეგრძნებები ააცილონ.

– ალერგია ნებისმიერ საკვებზე – თეორიულად შესაძლებელი ყოფილა, რომ ადამიანს ალერგია ნებისმიერი სახის საკვებმა დამართოს, თუმცა ყველაზე ცნობილი „აუტანელი პროდუქტებია“: რძე, ქათმის კვერცხი, თევზი და მარცვლეული კულტურა. გარდა ამისა, მაღალი ალერგენობით გამოირჩევა: თხილი და კაკალი, ზღვის პროდუქტები, ფრინველის ხორცი, ყავა, შოკოლადი, მდოგვი, ძმარი, მაიონეზი, პომიდორი, სოკო, მარწყვი, ნესვი, ანანასი, ციტრუსი და ასე შემდეგ.



ვიღაცას „გაუმართლა“ და ჩამოთვლილი პროდუქტებიდან მხოლოდ რამდენიმეს ვერ იტანს. ბევრი პაციენტისთვის მიუღებელია ერთდროულად რამდენიმე სახეობის საკვები და ამასთანავე, იტანჯებიან სიგარეტის კვამლისგან, მტვრისგან და სხვა გამაღიზიანებლებისგან. ყველაზე მძიმე შემთხვევა ალერგიის ამ ფორმასთან დაკავშირებით, ავსტრალიელ კაბელ ბასენშუტს შეემთხვა, რომელიც საერთოდ ვერაფრის ჭამას ვერ ახერხებს. მისი კუჭი, ფაქტობრივად, დაპყრობილია წყლულების მიერ და ყველაზე მსუბუქ და დიეტურ საკვებსაც კი ვერ ინელებს. ასეთი პრობლემების გამო, ავსტრალიელისთვის ექიმებმა სპეციალური განსაკუთრებით მაღალკალორიული ნივთიერება შეიმუშავეს, რომელსაც კუჭში სპეციალური მილით უშვებენ, თანაც, ერთჯერადად მას მხოლოდ 1-2 გრამი სითხის მიღება შეუძლია.

– ალერგია ქმართან სექსზე – მთელი მსოფლიოს ექიმები ტყუილად ნამდვილად არ უწევენ რეკომენდაციას უსაფრთხო სექსს, რადგან სიფრთხილე, როგორც მოგეხსენებათ, ზედმეტი არასოდეს არ არის. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მაიკლ და ჯული სტეტჰემებს დიდი ბრიტანეთიდან დამცავი საშუალების გამოყენება ძალიან უსიამოვნო სიურპრიზად დაუბრუნდა.

საქმე ისაა, რომ ერთად დაწოლის შემდეგ წყვილმა აღმოაჩინა, რომ ჯული იტანჯება ალერგიისგან, რომლის მიზეზიც ქმრის... სპერმა ყოფილა.

დაქორწინებამდე, შეყვარებულებს სქესობრივი კონტაქტი ჰქონიათ, თუმცა მხოლოდ დამცავი საშუალებების გამოყენებით, ხოლო ბეჭდების გაცვლის შემდეგ, როცა მათ უკვე შვილის გაჩენაც ჰქონდათ გადაწყვეტილი, აუტანელი ტკივილებისგან ცოლი კინაღამ საწოლშივე გარდაიცვალა. მართალია, წყვილს ბავშვის აყვანა მოუხდა, მაგრამ ოჯახი მაინც არ დაანგრიეს და ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად პრეზერვატივი გაიხადეს.

**digest.subscribe.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## კატას სექსუალური ენერგიის განადგურება შეუძლია?

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ კატებს ადამიანების ჯანმრთელობაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე, როგორც ეს აქამდე გვეგონა.

აღმოჩნდა, რომ ამ ერთი შეხედვით უწყინარ შინაურ ცხოველებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ დიდი ზიანის მოტანა შეძლებიათ, რაც მათგან ენერგიის წართმევაში გამოიხატება, მათ შორის, საუბარია სექსუალურ ენერგიაზეც.

გერმანელი პარაფსიქოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ათიდან რვა ქალი, რომელიც საყვარელ ადამიანთან განშორების შემდეგ გულის გადასაყოლებლად კატის მოვლას იწყებს, დროთა განმავლობაში ძლიერი სქესის მიმართ ინტერესს კარგავს.

ეს საკმაოდ მოულოდნელი დასკვნა გერმანელმა სპეციალისტებმა ამ ცოტა ხნის წინ ამსტერდამში გამართულ სიმპოზიუმზე წარადგინეს და საზოგადოების გაკვირვებაც შეძლეს. მისი მიხედვით ცნობილი ხდება, რომ კატები ენერგეტიკული ქურდები არიან, რომლებიც მშვენიერი სქესის ჯანმრთელობაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენენ.

იმისთვის, რათა აღნიშნული თეორია დაემტკიცებინათ, გერმანელმა პარაფსიქოლოგებმა სპეციალური მოწყობილობა შექმნეს, რომელიც კატებისა და ქალების აურის დაჭერას ახერხებს.



მისი დახმარებით სპეციალისტებმა შეძლეს იმის დანახვა, როგორ ანადგურებდა ცხოველის მუქი აურა მშვენიერი სქესის სექსუალობის მოცისფრო აურას.

– კატებთან ახლო კონტაქტის შედეგად, სულ რაღაც, 5 წელიწადში ქალებს ანორგაზმია და ვაგინიზმი უვითარდებათ, – ასკვნიან გერმანელი პარაფსიქოლოგები.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? გამოკვლეული 320 ქალიდან, რომლებიც სახლში კატებს უვლიდნენ, მხოლოდ 22-ს აღმოაჩნდა ინტიმისკენ მიდრეკილება. გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ დაკვირვებისას 125-დან მხოლოდ 78-მა რესპონდენტმა შეძლო შვილის გაჩენა. დასკვნა აქედან – მთელი სექსუალური და რეპროდუქციული ენერგია მშვენიერ სქესს კატებმა მოჰპარეს.

გერმანელი მეცნიერები აღნიშნულ საკითხზე მუშაობას სამომავლოდაც აპირებენ, რათა თეორიის დასამტკიცებლად კიდევ უფრო მეტი საბუთი მოიპოვონ.

**myjane.ru**

## ამერიკელი ქალი მძღოლი საჭესთან მასტურბაციის გამო დააკავეს



ნეტავ, იმ პოლიციელების სახე დაგვენახა, რომლებმაც ეს „კანონდარღვევა“ აღმოაჩინეს.

თურმე, 36 წლის კოლონდრა ჰამილტონი ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატიდან თავს იმართლებდა, კანონით საჭესთან მასტურბაცია არ ისჯება და რა უფლებით მაპატიმრებთო, მაგრამ საქმე ისაა, რომ აღნიშნული „საქმიანობის“ პარალელურად ის ავტომობილს მართავდა. მართალია, ძალიან ნელი სიჩქარით, მაგრამ მაინც.

პოლიციელებმა „პონტიაკის“ მარკის ავტომობილი სწორედ საეჭვოდ ნელა მოძრაობის გამო გააჩერეს და აღმოაჩინეს, მაგრამ რა აღმოაჩინეს – მომხიბვლელი ქალი, რომელსაც გვერდითა სავარძელზე ნოუთბუქი ედო და პორნოფილმი ჰქონდა ჩართული, კალთაში კი მოზრდილ ვიბრატორს მალავდა.

ყველა „სიკეთესთან“ ერთად, დაკავებულს მარიხუანაც ჰქონდა მოწეული და მოკლედ, სასამართლოს წინაშე მას საკმაოდ უცნაური ბრალდებით მოუწევს წარდგომა – მასტურბირება ავტომობილის მართვისას...

**gigamir.net**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. გრძელი კარავი
2. ეს ხე ისხამს რკოს
3. სიმინდის ყვავილედი
4. მიწის ფართობის ერთეული
5. პოლონეთის დედაქალაქი
6. დანიის დედაქალაქი
7. ძველი ფილმების ჩვენება
8. „სწავლობს გიგლა ...“
9. მხ./ფ. „... გზა“
10. მისი დედაქალაქია მადრიდი
11. 100 x 100მ$^2$
12. საზღვაო კურორტი თურქეთში
13. ... ააგდო და თავი შეუშვირა
14. ... და ნიანგი გენა
15. მამაკაცი ძიძა
16. ტროპიკ. ნაყოფი. იღებენ ზეთს
17. მტაცებელი თევზი
18. ... დე მოპასანი
19. ყაზახეთის დედაქალაქი
20. ფაიფურის თეთრი თიხა
21. მსახიობი ნანკა ...
22. ნიჭი
23. შტატი აშშ-ში
24. ალფონს დოდე. „... ტარასკონელი“
25. ნიშნავს საწინააღმდეგოს
26. სისხლძარღვის პათოლოგია
27. მოკრივე მუჰამედ ...
28. სამკურნალო ბალახი
29. მსახიობი ... გარდნერი
30. ... ბაბაჯანიანი
31. მწერალი ედგარ ალან ...
32. მსახიობი ... ჭიჭინაძე
33. მსახიობი მაკოლეი ...
34. ქალაქი აფხაზეთში
35. ბესიკი. „... ტატანო“
36. ნახ. კუნძული ყვითელ ზღვაში
37. ტროპიკული ქარი
38. „კილიმანჯაროს თოვლიანი ...“
39. ელვის ... პრესლი
40. მეამბოხე სტეფანე ...
41. უანგარო შრომა, ღვაწლი
42. მოგებული პარტია ნარდში
43. ... შვარცენეგერი
44. მწერალი ალბერტო ...
45. ილია ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
46. კონკისტადორი ... კორტესი
47. მხ./ფ. „თოჯინები იცინიან“. შვილიშვილი
48. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი
49. მხარე ფინეთთან
50. წრის ფორმის საგანი
51. მსახიობი ... ელიავა
52. ცხენი, ანუ ...
53. ავტომობილი „... პატრული“
54. ინფექციური დაავადება
55. მუზების სამყოფელი მთა (ბერძნ. მით.)
56. წყალქვეშა კლდე
57. დედოფლის მხლებელი ქალი
58. დიდი, მსხვილი ჯოხი
59. ხელით სწრაფად ჩანაწერი
60. უბანი თბილისში
61. დედის ძუძუ ტკბილია, თუგინდ გკბენდეს რწყილია. გადავხვევი ხევიდან, დინგს ამოვკრავ ...
62. მკვებავი არტერიის დაცობა
63. ღრმა ფოსო, ფუღურო
64. იატაკზე დასაგები ფიცრის ნაჭერი
65. ხარებთან ბრძოლა
66. ესტრადის მსახიობი არკადი ...
67. ნიჩბებიანი ტრანსპორტი
68. ნასვრეტებიანი კოვზი
69. ხმამაღალი ჟღერადობა
70. მომღერალი ... სუმაკი
71. ჩიბუხი
72. პროვინცია ესპანეთში
73. ფიცარნაგი. მასზე სჯიან სიკვდილით
74. „ხანუმა“. ... დარდიმანდიანცი
75. ზედაპირული, არასრული
76. ... სტრადივარიუსი
77. მსახიობი ... ჰოფმანი
78. მოკრივე ... ჰოლიფილდი
79. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა
80. შტატი აშშ-ში
81. მუსულმანური მარხვა
82. ამერიკული ავტომობილი
83. რეჟისორი ლარს ფონ ...
84. ფაღარათი
85. შვედური პარფიუმ. ფირმა
86. მწვადი ამერიკულად
87. სახლის მუყაოს მოდელი
88. მატონიზირებელი ნივთიერება ჩაიში
89. გადამდნარი კარაქი
90. ტროპიკული ხილი
91. ჯეკი ჩანი ფილმში „ჰუჯს ...“
92. სამშენებლო იარაღი
93. მწერალი ... კოელიო
94. მსახიობი ... დე ფიუნესი
95. მარკ ტვენის გმირი ტომ ...
96. სახელმწიფო სამხრ. ამერიკაში
97. ადოლფ ჰიტლერის ცოლი ევა ...
98. დაბა აფხაზეთში
99. პატარა კაფე სანაპიროზე
100. თაღი
101. ... მორჩილაძე
102. მსახიობი კიმ ...
103. დონ კიხოტის ავტორი
104. მსახიობი ჯენიფერ ...
105. ვეტერ. ფეხბურთ. მიშელ ...
106. ფოლადის სადნობი ღუმელი
107. მომღერალი ბრიტნი ...
108. რეჟისორი ... ლურმანი
109. მსახიობი ნიკ ...
110. სალეჭი რეზინი, ანუ ...
111. მხარე საქართველოში
112. პოლიმერის შემადგენელი ერთეული
113. მხ./ფ. „მატრიცა“. ჰაკერი
114. ზამბახი
115. მოჭადრაკე ქეთევან ...
116. მოსამართლის მოსასხამი
117. შუმერული ეპოსის გმირი
118. ხორბლის ჯიში
119. ფრინველის სამწყვდევი
120. უბედურების მაუწყებელი სიგნალი
121. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
122. ესტრადის მსახიობი მაქსიმ ...
123. ბარში მომსახურე პიროვნება
124. მხ./ფ. „კანონი ...“
125. ტრამვაის მძღოლი
126. მწერალი ჰაინრიხ ...
127. რუსი პერედვიჟნიკი ივანე ...
128. მენდელსონი. „საქორწინო ...“
129. შენი ... და ჩემი კისერი
130. ჩრჩილების საწინააღმ. ნივთიერება
131. იანის საპირისპირო
132. პიპინიას ძაღლი (ფილმიდან)
133. ვარსკვლავის წვეტი
134. მომღერალი რაფაელა ...
135. მაკარონის ნაწარმი იტალიურად
136. ქალაქი. ვულკან ვეზუვის მსხვერპლი
137. სასაუზმე საფრანგეთში
138. ... უინფრი
139. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
140. მანეთის მეასედი
141. ნიშნავს ცივს
142. ღრმული წყნარ ოკეანეში
143. ... გათეთრდების ყორანი
144. გემის საწყობი
145. განგსტერი ... კაპონე
146. ... ურჩევნია მამულსა
147. ჭურჭელი ზოგადად
148. მეცნიერი ... გორდეზიანი
149. დედამიწის „გუმბათი“
150. „დიდოსტატის მარჯვენა“. კონსტანტინე, იგივე ... არსაკიძე
151. მხ./ფ. „მატრიცა“. პერსონაჟი
152. დასარგავი ნორჩი ხე
153. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში



პასუხები: 1. სეფა; 2. მუხა; 3. ტარო; 4. აკრი; 5. ვარშავა; 6. კოპენჰაგენი; 7. რეტროსპექტივა; 8. ტიტინა; 9. კარლიტოს; 10. ესპანეთი; 11. ჰექტარი; 12. ანტალია; 13. ქვა; 14. ჩებურაშკა; 15. ლალა; 16. ტუნგო; 17. ზვიგენი; 18. გი; 19. ასტანა; 20. კაოლინი; 21. კალატოზიშვილი; 22. ტალანტი; 23. არკანზასი; 24. ტარტარენ; 25. ანტი; 26. ანევრიზმა; 27. ალი; 28. მრავალძარღვა; 29. ავა; 30. არნო; 31. პო; 32. დოდო; 33. კალკინი; 34. გაგრა; 35. ტანო; 36. კორეა; 37. პასატი; 38. მთა; 39. აარონ; 40. რაზინი; 41. ამაგი; 42. ოინი; 43. არნოლდ; 44. მორავია; 45. ოთარაანთ; 46. ერნანდო; 47. რეზიკო; 48. ექსპრომტი; 49. კარელია; 50. რგოლი; 51. ლია; 52. მერანი; 53. ნისან; 54. გრიპი; 55. პარნასი; 56. ბრაგა; 57. ფრეილინა; 58. კეტი; 59. სტენოგრამა; 60. თემქა; 61. ქვევიდან; 62. იშემია; 63. ღრუ; 64. პარკეტი; 65. კორიდა; 66. რაიკინი; 67. ნავი; 68. ქაფქირი; 69. ფორტე; 70. იმა; 71. ყალიონი; 72. მალაგა; 73. ეშაფოტი; 74. აკოფ; 75. ზერელე; 76. ანტონიო; 77. დასტინ; 78. ევანდერ; 79. ‘დაისი“; 80. ნევადა; 81. რამაზანი; 82. ‘ბიუიკი“; 83. ტრიერი; 84. დიარეა; 85. ‘ორიფლეიმი“; 86. ბარბეკიუ; 87. მაკეტი; 88. კოფეინი; 89. ერბო; 90. ბანანი; 91. საათი; 92. თარაზო; 93. პაოლო; 94. ლუი; 95. სოიერი; 96. ბოლივია; 97. ბრაუნი; 98. ბიჭვინთა; 99. ბუნგალო; 100. არკა; 101. აკა; 102. ბესინჯერი; 103. სერვანტესი; 104. ენისტონი; 105. პლატინი; 106. მარტენი; 107. სპირსი; 108. ბაზ; 109. ნოლტი; 110. კევი; 111. რაჭა; 112. მონომერი; 113. ნეო; 114. ირისი; 115. არახამია; 116. მანტია; 117. გილგამეში; 118. იფქლი; 119. გალია; 120. სოს; 121. აკოლადა; 122. გალკინი; 123. ბარმენი; 124. კანონია; 125. ვატმანი; 126. მანი; 127. შიშკინი; 128. მარში; 129. ხმალი; 130. ნაფტალინი; 131. ინი; 132. პერი; 133. ქიმი; 134. კარა; 135. პასტა; 136. პომპეი; 137. ბისტრო; 138. ოპრა; 139. სან; 140. კაპიკი; 141. კრიო; 142. მარიანი; 143. არ; 144. ტრიუმი; 145. ალ; 146. ის; 147. ტარა; 148. რისმაგ; 149. ცა; 150. უტა; 151. ტრინიტი; 152. ნერგი; 153. დრაკონი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00
რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. მწყემსის ინსტრუმენტი
1ა. მეხსიერების დაკარგვა
2. ქალაქი ესპანეთში
3. დათვი რომ მოგერევა, ... დაუძახეო
4. გერმანული ავტომობილი
5. ნივთიერება. ამუშავებდნენ მუმიებს
6. მსახიობი ... ჰარისი
7. მხატვარი კლოდ ...
8. ლომების ოჯახი
9. ფეთქებადი ნივთიერება
10. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
11. მსახიობი ... ლი ჯონსი
12. თათქარიძეების მოახლე გოგო
13. ვირას საპირისპირო ბრძანება
14. ჭადრაკის ფიგურა
15. ...-დე-ჟანეირო
16. გემის გვერდი
17. ათასწლეულის დასასრული
18. ოპერის შესავალი ნაწილი
19. შეზღუდული კვების რეჟიმი
20. ... ენა სარწმუნოება
21. ნიანგის სახეობა
22. ... პუგაჩოვა
23. ჟამი
24. ფრედი მერკურის ანსამბლი
25. მონღოლი დიდებული
26. კუნძული ატლანტის ოკეანეში
27. მსახიობი ჯეისონ ...
28. ტაძრის მოცეკვავე ქალი ინდოეთში
29. ოპერა „სევილიელი ...“
30. მსახიობი ... მუტი
31. იაპონური თაიგული
32. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
33. მისი დედაქალაქია ჰავანა
34. ტროპიკული ბუზი
35. სამშენებლო მასალა
36. ილია ჭავჭავაძის ლექსი
37. ... ხაჩატურიანი
38. ყურძნის ჯიში
39. დიამეტრის ნახევარი
40. „მაუგლი“ დათვი
41. გემის დიდი ბადე
42. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
43. მხატვარი ... გრეკო
44. მსახიობი ... გიბსონი
45. იტალიის დედაქალაქი
46. ცისარტყელას ფერი
47. მსახიობი ბენი ...
48. ... ხაიამი
49. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
50. მომღერალი ... ბადურაშვილი
51. „... აიბოლიტი“
52. სოფელი გურჯაანის რაიონში
53. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
54. რუსი მწერალი
55. ბუდისტი მღვდელი
56. უნგრელი კომპოზიტორი
57. ბოშათა საბჭოთა თეატრი
58. მეტროს მოძრავი კიბე
59. „შავყურა თეთრი ...“
60. დასარტყამი საკრავი
61. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
62. პატარა ტანის ძაღლი
63. ჩელენტანო ფილმში
64. პოეტი ლირიკოსი
65. იაპონელი თვითმკვლელი
66. მოჭადრაკე ბენტ ...
67. კონტინენტი
68. ანტილოპას სახეობა
69. აზროვნების ორგანო
70. საძერწი მასალა ...-მაშე
71. კუნძული ჩინეთთან
72. ნავსაყუდელი
73. მსახ. ... უიზერსპუნი
74. კუნძული აფრიკასთან
75. აშშ-ს დედაქალაქი
76. მწვანილი
77. მსახიობი ... დე ფიუნესი
78. ვულკანის ყელის ჯამი
79. ცურვის სტილი
80. ეკლიანი ბალახი
81. რეჟისორი სტივენ ...
82. სპორტის სახეობა
83. სოფელი რაჭაში
84. ლეშისმჭამელი ფრინველი
85. რადიოლოკატორი
86. პრეზიდენტის ფიცი
87. ნადირობის ქალღმერთი
88. რეჟისორი ალფონსო ...
89. პერო. „... მზეთუნახავი“
90. ცხოველი. ემტერება კობრებს
91. ჩრდილოეთის ირემი
92. მწერალი ასტრიდ ...
93. თოთო ბავშვი
94. მწერალი ... როდარი
95. ცხენების სადგომი
96. რუსი ფიზიოლოგი
97. ხრახნის მოსაჭერი
98. ფეხბურთელი რეზო ...
99. მსახიობი მარლონ ...
100. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
101. წრეწირში გავლებული ხაზი
102. ჟან-კლოდ ... დამი
103. მომღერალი ლედი ...
104. პიპინიას ძაღლი
105. ბულგარელი ნათელმხილველი
106. იაპონური თეატრი
107. ფაშვის წვნიანი
108. ჯაზმენი ... კინგი
109. მსახიობი ...
110. მომღერალი ბრიტნი ...
111. მწერალი ჟიულ ...
112. სია
113. მეტამორფოზის სტადია
114. თევზის ჯიში
115. ქალაქი რაჭაში
116. კვირტებიანი ტოტი
117. „გრაფი ...-კრისტო“
118. სოფელი დუშეთის რაიონში
119. ინერტული აირი
120. ავტოფარეხი
121. ჩილეში: ... კორვალანი
122. ... ურჩევნია მამულსა
123. მწვანილი
124. კონტინენტი
125. მსახიობი ... საკანდელიძე
126. მონო, დი, ..., ტეტრა
127. ღობე
128. ნიშნავს ცხოველურს
129. „... ჭკუისაგან“
130. გადაბრუნებ. ასო დელტა
131. საფრანგეთის დეპარტ. სამხ. ამერიკაში
132. ისრის წვერი
133. მუსლიმანური მარხვა
134. „კილიმანჯაროს თოვლიანი ...“
135. ... გათეთრდების ყორანი
136. მხ/ფ „... აყვავდა ნუში“
137. ... ერთობაშია
138. დელიკატესების მოყვარული
139. მისი დედაქალაქია ვარშავა
140. ბრედ პიტი ფილმში
141. ... მოგივა დავითაო
142. ... ბურთი და ... მოედანი
143. მეფის მხლებლები
144. დაკოდილი ცხენი
145. ... ია
146. მსახიობი ... ჟირარდო
147. „მატრიცა“ ჰაკერი
148. წყალში მოზელილი ფქვილი
149. სოფელი მარტვილის რაიონში
150. სამკურნალო მცენარე

პასუხები: 1. სალამური; 1ა. ამნეზია; 2. ბარსელონა; 3. ბაბა; 4. „ოპელი“; 5. ბალზამი; 6. ედ; 7. მონე; 8. პრაიდი; 9. ნიტროგლიცერინი; 10. მემ; 11. ტომი; 12. ლამაზისეული; 13. მაინა; 14. ლაზიერი; 15. რიო; 16. ბორტი; 17. მილენიუმი; 18. უვერტიურა; 19. დიეტა; 20. მამული; 31. გავიალი; 22. ალა; 23. დრო; 24. „ქვინი“; 25. ნოინი; 26. გრანლანდია; 27. სტეტჰემი; 28. ბაიადერი; 29. დალაქი; 30. ორნელა; 31. იკებანა; 32. ტატამი; 33. კუბა; 34. ცეცე; 35. ცემენტი; 36. „ელეგია“; 37. არამ; 38. ალადასტური; 39. რადიუსი; 40. ბალუ; 41. ტრალი; 42. მარადია; 43. ელ; 44. მელ; 45. რომი; 46. იისფერი; 47. ჰილი; 48. ომარ; 49. ონდატრა; 50. ნინი; 51. ექიმი; 52. მუკუზანი; 53. კენგურუ; 54. ბუნინი; 55. ლამა; 56. ლისტი; 57. „რომენი“; 58. ესკალატორი; 59. ბიმი; 60. დოლი; 61. სირ; 62. ფინია; 63. „ბლეფი“; 64. მგოსანი; 65. კამიკაძე; 66. ლარსენი; 67. აფრიკა; 68. გნუ; 69. ტვინი; 70. პაპიე; 71. ტაივანი; 72. პირსი; 73. რიზ; 74. მადაგასკარი; 75. ვაშინგტონი; 76. კამა; 77. ლუი; 78. კრატერი; 79. კროლი; 80. ნარშავი; 81. სპილბერგი; 82. კრივი; 83. ირი; 84. სვავი; 85. რადარი; 86. ინაუგურაცია; 87. დიანა; 88. არაუ; 89. მძინარე; 90. მანგუსტი; 91. მარალი; 92. ლინდგრენი; 93. ჩვილი; 94. ჯანი; 95. თავლა; 96. პავლოვი; 97. ქანჩი; 98. ძოძუაშვილი; 99. ბრანდო; 100. ინდიგო; 101. ქორდა; 102. ვან; 103. გაგა; 104. პერი; 105. ვანგა; 106. ნო; 107. ხაში; 108. ბიბი; 109. უილ; 110. სპირსი; 111. ვერნი; 112. რეესტრი; 113. იმაგო; 114. სვია; 115. ონი; 116. ნეკერი; 117. შატილი; 119. არგონი; 120. გარაჟი; 121. ლუის; 122. ის; 123. ქინძი; 124. ევროპა; 125. კარლო; 126. ტრი; 127. მესერი; 128. ზოო; 129. ვაი; 130. ნაბლა; 131. გვიანა; 132. ზრო; 133. რამაზანი; 134. მთა; 135. არ; 136. როცა; 137. ძალა; 138. გურმანი; 139. პოლონეთი; 140. „ტროა“; 141. რაც; 142. ჰა; 143. ამალა; 144. იაბო; 145. აი; 146. ანი; 147. ნეო; 148. ცომი; 149. ბანძა; 150. ალოე. იკითხება: მზესუმზირა.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

# მცენარეები დახმარებისთვის მტაცებელ მწერებს „იძახებენ“



მართლაც საოცარია დედა ბუნება და მისი საიდუმლოების ბოლომდე ამოხსნას კაცობრიობა, ალბათ, კიდევ ძალიან დიდხანს ვერ შეძლებს.

ამ შემთხვევაში, საუბარია გერმანელი და ნიდერლანდელი მეცნიერების ახალ მიგნებაზე, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ მცენარეები, რომელთა ფოთლებსაც მუხლუხები და სხვა პარაზიტი არსებები ანადგურებენ, დახმარებისთვის მტაცებელი მწერების „გამოძახება“ შეუძლიათ.



სპეციალისტების ინფორმაციით, კვლევის ფარგლებში რამდენიმე სახეობის მცენარეს იკვლევდნენ და აღმოაჩინეს, რომ ფოთლების დაზიანების შემთხვევაში, ავტომატურად იწყება კონკრეტული ქიმიური ნივთიერებების გამოყოფა, რომელიც „სტანდარტულისგან“ განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა. სწორედ ასეთი ნივთიერებები წარმოადგენენ მტაცებელი მწერებისთვის ერთგვარ სიგნალს, რომლებიც პარაზიტებით იკვებებიან და მაშინვე მცენარის დასახმარებლად მიფრინავენ.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მცენარეების ქიმიური ნივთიერებების სტრუქტურაზე თავად მავნე მწერების პირში გამოყოფილი სეკრეტული სითხე მოქმედებს.

***news.rin.ru***

# ადამიანებს საკუთარი უბედურება სიამოვნებას ანიჭებს?!



კალიფორნიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ტანჯვას ადამიანებისთვის... სიამოვნება მოაქვს(?!) და ამის მიზეზი რთული დღეების გახსენებასთან ერთად წარმოქმნილი ერთგვარი „ნარკოტიკული“ ეფექტია.

– დაუსრულებელი უარყოფითი მოვლენები ადამიანის თავის ტვინში იმ ნეირონებს ააქტიურებს, რომლებიც „სიამოვნების ცენტრშია“ განთავსებული და ხელს უწყობს მძიმე მოგონებებზე დამოკიდებულების გაჩენას, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.



ამგვარი ეფექტის არსებობა ცოტა უცნაური ექსპერიმენტის ჩატარებით მტკიცდება, რომელშიც 23 ქალი მონაწილეობდა და რომელთაგან 11 ახლო ნათესავის სიკვდილისგან იტანჯებოდა. როცა მეცნიერებმა მათ გარდაცვლილების ფოტოები აჩვენეს და თავის ტვინის სკანირება ჩაატარეს, აღმოაჩინეს, რომ ფოტოების დემონსტრირებისას ადამიანების ტვინში „სიამოვნების ცენტრის“ აქტივაცია ხდებოდა...

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ ერთი ასეთი უცნაური სადღეგრძელო: ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს, რომლებმაც თავის დროზე ძალიან დიდი სიმწარე გვაჩვენესო...

აი, ასე უცნაურადაა მოწყობილი ადამიანის თავის ტვინიცა და ზოგადად, აზროვნებაც...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***medportal.com***

# ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**5 სექტემბერი:** დღეს ხშირად მოგწყვეტენ საქმეებს. ამის მიუხედავად, საკუთარ გეგმებზე უარი არ თქვათ. ყველაფერი უნდა მოასწროთ, რაც მიზნად დაისახეთ.

**კურო 22.04-21.05**

**5 სექტემბერი:** თუ ვინმეს თქვენი წესებით მოქმედება არ სურს, ნუ აიძულებთ. შეეცადეთ, ამბიციები მოთოკოთ, ის დღეს დიდ მასშტაბებს მიიღებს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**5 სექტემბერი:** შეიძლება დღეს საკმაოდ აღელვებული იყოთ და წყობილებიდან ადვილად გამოხვიდეთ. გააფრთხილეთ გარშემომყოფნი ამის შესახებ. ერიდეთ ელექტროხელსაწყოების გამოყენებას.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**5 სექტემბერი:** ეს დღე იმ ადამიანთან ერთად დაიწყეთ, ვინც სიამოვნებას განიჭებთ. მასთან ჩვეულებრივ საუბარში შეიძლება გაჩნდეს იდეა, რომელიც სისულელედ მოგეჩვენებათ, მაგრამ მისი განხორციელება ღირს.

**ლომი 23.07-22.08**

**5 სექტემბერი:** ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საქმეები ისე ადვილად მოგვარდება, რომ მათ უმნიშვნელოდ ჩათვლით. ეს ასე არ იქნება და მათი უგულებელყოფა არ შეიძლება.

**ქალწული 23.08-22.09**

**5 სექტემბერი:** დღეს გაურკვეველი შფოთი, უსიამოვნო წინათგრძნობა შეგიპყრობთ. აუცილებელი არ არის, ეს საფრთხე დაიჯეროთ, მაგრამ რაზეც წინათგრძნობა მიგითითებთ, იმ საკითხში სიფრთხილე გმართებთ,

**სასწორი 23.09-22.10**

**5 სექტემბერი:** თქვენს გარემოცვაში ყველა ხალისიანი და მხიარული იქნება. არ გეწყინოთ, თქვენ არ დაგცინიან. ახალ მეგობრებს გაიჩენთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**5 სექტემბერი:** რაოდენ უცნაური იდეებიც არ უნდა მოგივიდეთ, ყველა მათგანი ყურადღებით განიხილეთ. მათ შორის, შესაძლოა, ფასეული რამ აღმოაჩინოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**5 სექტემბერი:** იმდენად გამორჩეული იქნებით, გარშემომყოფთა სურვილი, შეუმჩნეველი დარჩეთ, კრახით დასრულდება.

**თხის რქა 22.12-19.01**

**5 სექტემბერი:** მშვიდი და სასიამოვნო დღე იქნება. შეიძლება მხოლოდ ერთი პრობლემა გაჩნდეს – თუ ვინმეს გაიცნობთ, ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, შეიძლება მან უსიამოვნება მოგიტანოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**5 სექტემბერი:** სასურველია, ეს დღე მეგობრებს მიუძღვნათ, შეიძლება რომელიმე მათგანს თქვენი დახმარება სჭირდება და ამის შესახებ თავად არ გეტყვით.

**თევზები 19.02-20.03**

**5 სექტემბერი:** მოიშორეთ ის ძველმანები, რომლებიც უსიამოვნო მოგონებებს აღგიძრავთ. თუ გადაყრა არ გინდათ, ვინმეს აჩუქეთ, მოიმადლიერებთ.

# მეცნიერებმა სამყაროს დასასრულის ზუსტი თარიღი დაადგინეს



სანერვიულო არაფერია, რადგან ეს თარიღი იმდენად შორსაა ჩვენგან, საბედნიეროდ, მას ნამდვილად ვერ შევესწრებით.

ამერიკელი და ევროპელი მეცნიერების მტკიცებით, ის დრო, როცა დედამიწაზე ჰომოსაპიენსის „ბუნდლაც“ აღარ იქნება, აუცილებლად დადგება და ეს 2252006 წლის 31 ოქტომბერს მოხდება.

ასეთ დასკვნამდე გეოლოგები და პალეონტოლოგები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ესპანეთში აღმოჩენილი გაქვავებული ნარჩენები შეისწავლეს.

მართალია, არ ზუსტდება, მაინც რა სახის ნარჩენებზეა საუბარი, თუმცა სპეციალისტები განმარტავენ, რომ ცოცხალი არსებების სიცოცხლისუნარიანობა 2,5 მილიონი წელია, თანამედროვე ადამიანმა კი თავისი 250 ათასი წელი უკვე განვლო.

მეცნიერების ინფორმაციით, ყოველ 2,5 მილიონ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა ასტრონომიული ფაქტორების გამო ხდება დედამიწის ორბიტის რყევა და გადაადგილება, რის გამოც ჩვენი პლანეტა მზეს შორდება და დიდი გამყინვარება იწყება.

***ufolog.ru***

# ყველაზე დიდი ციფრი



არც ტრილიონი, არც მილიარდი და მით უფრო, არც მილიონი არ გახლავთ ყველაზე დიდი ციფრის აღმნიშვნელი სიტყვა, არამედ დღეისთვის ყველაზე დიდ ციფრს „გუგოლი“ ეწოდება, რომელიც 100 ნულით იწერება და ჩვეულებრივ, გამოისახება როგორც 10 აყვანილი 100-ის ხარისხში.

აღნიშნული სახელწოდება ცნობილმა ამერიკელმა მათემატიკოსმა ედვარდ კასნერმა დაამკვიდრა, ხოლო საავტორო უფლება სიტყვაზე მის 9 წლის ძმისშვილს ეკუთვნის.

საინტერესოა, რომ სწორედ გუგოლი გახდა ცნობილი ამერიკული ინტერნეტ-კომპანიის „გუგლის“ „ნათლია“, რომელსაც, სხვათა შორის, სულ რამდენიმე დღის წინ 12 წელი შეუსრულდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ გუგოლი ანგარიშის პიკია, რადგან არ არსებობს სამყაროში არც ერთი პარამეტრი, რომლის შესაფასებლადაც ამ ციფრის გამოყენება იქნებოდა საჭირო.

***10samih.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ტირში სიდედრთან ერთად მისულმა კოტემ სასტიკი საყვედური მიიღო:

– ჩვენთან საკუთარი სამიზნით მოსვლა სასტიკად აკრძალულია, ახლავე დატოვეთ აქაურობა!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია »211359457 ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.33